



საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შეფასება

2016 წლის 18 ნოემბერი - 2017 წლის 31 დეკემბერი

თბილისი, 2018

კვლევის ხელმძღვანელი:
ლიკა საჯაია

წამყვანი მკვლევარი:
თამარ ტატანაშვილი

მკვლევარი:
გიორგი თოფურია

კვლევაში მონაწილეობისთვის მადლობას ვუხდით “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” სტაჟიორებს: ანა აფციაურს, ზაურ ხაიკაშვილს, ნიკა ხომასურიძესა და გიორგი ჯღარკავას.

ინფორმაციის მონოდებისა და თანამშრომლობისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს, მის უფროსს ეთერ სვიანაიძესა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს.

ანგარიში მომზადდა ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



Norwegian Ministry
of Foreign Affairs

შესავალი	7
თავი 1 - ძირითადი მიგნებები	8
თავი 2 - ზოგადი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის შესახებ	11
თავი 3 - ზოგადი სტატისტიკა	15
თავი 4 - მნიშვნელოვანი მოვლენები	17
4.1 საკონსტიტუციო კომისიის შექმნა და კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესი	17
4.2 ღია მმართველობის პარტნიორობა (Open Government Partnership, OGP) და ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება	20
4.3 ცვლილებები უმრავლესობასა და უმცირესობაში	20
4.4 მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაცია და ნდობის გამოცხადების პროცესი	22
თავი 5 - მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები	24
5.1 პროგრესული საკანონმდებლო ცვლილებები	24
5.1.1 სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებიდან გამომდინარე ცვლილებები	24
5.1.2. ქონებრივი დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ცვლილება	24
5.1.3. პატიმრობის კოდექსში ცვლილებები	25
5.1. 4. პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ინიციატივა	25
5.1.5. ხმაურის ნორმების დადგენისა და პასუხისმგებლობის შესახებ ინიციატივა	26
5.1. 6. თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ ინიციატივა	26
5.1.7 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გაუქმება	26
5.2 პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დახვეწას საჭიროებს	27
5.2.1. მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღა	27
5.2.2 საგზაო უსაფრთხოების რეფორმა	28
5.2.3 საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი რეგულაცია	28
5.3 ნეგატიური საკანონმდებლო ცვლილებები	29
5.3.1 ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შექმნა	29
5.3.2. მორატორიუმი მიწის გასხვისებაზე	30
5.3.3 თვითმმართველობის ერთეულების გაუქმება	31
5.3 4. საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ახალი წესი	31
5.3.5 საკანონმდებლო წინადადების განხილვის წესის ცვლილება	32
თავი 6 - კანონშემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა და შეფასება	33
6.1 მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა	33

6.2 კომიტეტების საქმიანობის სამოქმედო გეგმები	34
6.3 დაჩქარებული წესით ინიციატივების განხილვა	35
6.4 გამართივებული წესით განხილვა და კანონების ამოქმედების გადავადება	38
თავი 7 - საპარლამენტო კონტროლი	40
7.1 ნდობის გამოცხადება	40
7.2 სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშის წარდგენა და განხილვა	41
7.3 თანამდებობის პირთა არჩევა	41
7.4 ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარდგენილი ანგარიშების მოსმენა	42
7.5 ფრაქციისა და კომიტეტების სხდომაზე მიწვევა და ანგარიშების მოსმენა	44
7.5.1 ფრაქციის სხდომებზე მიწვევა	44
7.5.2 კომიტეტის სხდომაზე ანგარიშვალდებული ორგანოების მიწვევა და ანგარიშების მოსმენა	47
7.6 პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა	50
7.7 სამთავრობო საათი	54
7.8 დროებითი საგამოძიებო კომისია	55
7.9 სხვა დროებითი კომისია	55
7.10 მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი	56
7.10.1 რეკომენდაციების შემუშავება და შესრულების კონტროლი	56
7.10.2 კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალდებების შესრულება	57
7.11 სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი	59
7.12 ნდობის ჯგუფის საქმიანობა	59
თავი 8 - ინფორმაცია პარლამენტის წევრების შესახებ	60
8.1 პარლამენტის წევრთა ასაკი	60
8.2 პარლამენტის წევრთა განათლება და სპეციალობა	60
თავი 9 - ქალთა მონაწილეობა საპარლამენტო საქმიანობაში	61
თავი 10 - პარლამენტის საბჭოებისა და კომისიების საქმიანობა	65
10.1 გენდერული თანასწორობის საბჭო	65
10.2 ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო	66
10.3 ხაზინადართა საბჭო	66
10.4 ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია	67
თავი 11 - პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობა	68
თავი 12 - პარლამენტის წევრთა აქტივობა	69
12.1 ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები	69

12.2 მიღებული კანონების რაოდენობა და ავტორები	72
12.3 პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა	74
12.4 კანონპროექტთან დაკავშირებით გამოთქმული დეპუტატთა შენიშვნები	76
12.5 პარლამენტის წევრთა მივლინებები	80
თავი 13 - პარლამენტის წევრების მონაწილეობა პლენარულ სხდომებსა და კომიტეტების მუშაობაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი	87
13.1 პლენარული და კომიტეტების სხდომების საპატიო მიზეზებით გაცდენა	87
13.2 პლენარული და კომიტეტის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენა	91
13.3 დისციპლინური პასუხისმგებლობა	92
თავი 14 - პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შეფასება	95
14.1 კომიტეტების მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში	95
14.2 საკანონმდებლო წინადადებების განხილვა	97
14.3 მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება	99
14.4 სამუშაო ჯგუფები	101
14.5 კომიტეტების ურთიერთობა ექსპერტებთან	102
14.6 . სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები	103
14.7 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოში	104
14.8 ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე	105
თავი 15 - მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	106
15. 1 მოქალაქეთა მიმართვები	106
15. 2 ამომრჩეველთა პრობლემები და კვლევის შედეგები	107
15.3 საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან	107
15.4 ბიუროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობა	107
15.5 მოსახლეობის ინფორმირება	108
თავი 16 - კავშირები ბიზნესთან და არადეკლარირებული ქონება	109
თავი 17 - რეკომენდაციები	110
დანართი 1. სიტყვით გამოსვლის რაოდენობა	113
დანართი 2. მაჟორიტარი წევრების ბიუროების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია	120
დანართი 3. პარლამენტარების კავშირები ბიზნესთან	127

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საპარლამენტო მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ყოველწლიურად აფასებს საქართველოს პარლამენტის მუშაობას. ორგანიზაციის საპარლამენტო ჯგუფი აქტიურად არის ჩართული პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგში და პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშს პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საპარლამენტო ჯგუფის ოფისები განთავსებულია თბილისსა და ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობებში.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის პირველი წლის საქმიანობის შეფასება (საანგარიშო პერიოდი: 2016 წლის 18 ნოემბერი - 2017 წლის 31 დეკემბერი) ეფუძნება ორგანიზაციის საპარლამენტო ოფისების თანამშრომლების მიერ მოკვლეული ინფორმაციის ანალიზს და დაკვირვებებს, ასევე პარლამენტიდან მიღებულ სტატისტიკურ მონაცემებს.

ამასთანავე, ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაკვეთით 2018 წლის მარტში (3 – 28 მარტი) ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებიც, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა (ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისა და ოკუპირებული ტერიტორიების გარდა). კვლევის ფარგლებში შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოიკითხა 1843 ადამიანი. საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცდომილების საშუალო მაჩვენებელი 2,8%- ს შეადგენს.

ქიჩითაღი მიზნაბაბი

მე-9 მოწვევის პარლამენტის საქმიანობას თან სდევდა პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები სხვადასხვა მიმართულებით. გადაიდგა ნაბიჯები საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესებისაკენ. პარლამენტის წინაშე კვლავ დგას გამოწვევები აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის განხორციელების და საკანონმდებლო პროცესის დახვეწის თვალსაზრისით.

პოზიტიური ტენდენცია

საკანონმდებლო პროცესი

- განსხვავებით წინა მოწვევისაგან, საანგარიშო პერიოდში კვორუმის არარსებობის გამო პლენარული სხდომა არ ჩაშლილა.¹
- მთავრობამ 2-ჯერ წარმოადგინა კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს როგორც ანაგრიშვალდებულების, ასევე კანონშემოქმედებითი პროცესის ხელშეწყობის თვალსაზრისით
- განსხვავებით წინა მოწვევის პარლამენტისაგან, გენდერული თანასწორობის საბჭო მეტად აქტიურია საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობისა და რეგულაციების ანალიზის განხორციელების მიმართულებით

მედამხედველობის განხორციელება

- აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებიან კომიტეტის სხდომებს და წარმოადგენენ პერიოდულ ანგარიშებს განუელი საქმიანობის შესახებ
- პარლამენტმა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ სამთავრობო ანგარიშების განხილვა
- გაუმჯობესდა თანამდებობის პირთა არჩევის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, მაგალითად სახალხო დამცველის კანდიდატურა სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად შეირჩა.

დეპუტატების აქტივობა

- მე-9 მოწვევის პირველ წელს პარლამენტში დეპუტატები უფრო აქტიურები არიან საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენის მხრივ წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით. საანგარიშო პერიოდში ამ უფლებით პარლამენტის 92-მა წევრმა ისარგებლა.²

გამჭვირვალობა

- ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შედეგად გაიზარდა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სახეები,

1 მე-8 მოწვევის პარლამენტში კვორუმის არარსებობის გამო არ შედგა 10 სხდომა, აქედან 2 რიგგარეშე

2 მე-8 მოწვევის პარლამენტში პარლამენტის 79 წევრმა ისარგებლა საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით

დაემატა სხვადასხვა კატეგორიის ინფორმაცია, მათ შორის:

1. კანონპროექტთან დაკავშირებით სახალხო დამცველისა და საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ან/და პარლამენტის კომიტეტების ან/და აპარატის დეპარტამენტების მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები
2. ინფორმაცია დეპუტატების მიერ პარლამენტის პლენარული და კომიტეტების სხდომების არასაპატიოსთან ერთად საპატიო გაცდენების მაჩვენებლების გამოქვეყნების თაობაზე
3. დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია
4. აღმასრულებელი თუ სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენასთან დაკავშირებული ინფორმაცია
5. პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაცია
6. პარლამენტის მიერ სასესიო და წლიური ანგარიშის წარდგენის ვალდებულება.

• პარლამენტის ვებ-გვერდზე დაიწყო შემდეგი ინფორმაციის გამოქვეყნება:

1. მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების მიერ გაწეული ხარჯები სისტემატიზებული სახით
2. ინფორმაცია პარლამენტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა ოფიციალური და სამუშაო ვიზიტებისათვის გაწეული სამივლინებო ხარჯების თაობაზე (ჯამურად), ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებებისთვის.

გამოწვევები

საკანონმდებლო პროცესი

- გაუარესებულია მდგომარეობა კანონპროექტების დაუსაბუთებლად, დაჩქარებული წესით განხილვის მიმართულებით. ისეთი მნიშვნელობის 111 კანონის პროექტი, რომელიც სამთავრობო ცვლილებებს შეეხებოდა, პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა.³
- პრობლემას წარმოადგენს ასევე კანონის ამოქმედების გადავადებაც, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა გამარტივებული წესით განიხილა და მიიღო 77 კანონის პროექტი.⁴
- სამუშაო ჯგუფების საქმიანობა ზოგიერთ შემთხვევაში ატარებდა ფორმალურ ხასიათს და ჯგუფის წევრები ჩართულნი არ ყოფილან პროექტების შემუშავების პროცესში

ზედამხედველობის განხორციელება

- დეპუტატები სათანადოდ არ იყენებენ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზედამხედველობის შესაძლებლობებს
- საანგარიშო პერიოდში არ შექმნილა საგამოძიებო კომისია, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ამერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცება, ასევე

3 მე-8 მოწვევის პარლამენტმა სულ 437 კანონის პროექტი განიხილა დაჩქარებული წესით, ხოლო მე-9 მოწვევის პარლამენტმა მხოლოდ პირველს წელს 213 პროექტი განიხილა. თუმცა იყო 12 შემთხვევა როდესაც ამ წესით პროექტის განხილვის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

4 რაც მნიშვნელოვნად აღემატება მე-8 მოწვევის პარლამენტის მიერ გამარტივებული წესით განხილული კანონპროექტების საერთო რაოდენობას (47 კანონის პროექტი).

ყოფილი აუდიტორის ლაშა თორდიას ცემის ფაქტი.

- სადეპუტატო კითხვების უმეტესი ნაწილი კვლავ სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვას შეეხება. დეპუტატების მხრიდან კონტროლის ამ მექანიზმის გამოყენება არ უკავშირდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სამთავრობო პროგრამის შესრულების კონტროლსა და საჯარო პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.
- პარლამენტმა თითქმის 1 წლის განმავლობაში ვერ დააკომპლექტა ნდობის ჯგუფი
- პარლამენტი არ ახორციელებს მთავრობის მიერ წარდგენილ კანონმდებლობითი საქმიანობის გეგმის მონიტორინგს

პარლამენტის წევრთა ანგარიშვალდებულება

- მე-9 მოწვევის პარლამენტის პირველივე წელს პლენარული სხდომების საპატიო მიზგზით გაცდენის 2119 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან ოჯახური მდგომარეობის მითითებით იყო 1430 შემთხვევა, რაც საპატიო მიზგზით გაცდენილი შემთხვევების 68% უდრის.⁵
- ისევე როგორც წინა მოწვევის პარლამენტში, ასევე საანგარიშო პერიოდშიც არაერთი შემთხვევა იყო პარლამენტის წევრების მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევის, მათ შორის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომდგენლების მონაწილეობით. ამასთანავე, პარლამენტს ამ დრომდე არ მიუღია პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი
- დეპუტატები არასწორად ავსებენ ქონებრივ დეკლარაციებს, ზოგიერთ შემთხვევაში არ უთითებენ კომპანიებში მათ კუთვნილ წილებს. ხოლო რამდენიმე დეპუტატი ამავედროულად კომპანიის დირექტორიცაა.


5 მე-8 მოწვევის პარლამენტში საპატიო მიზგზით პლენარული სხდომის გაცდენის 5913 შემთხვევიდან ოჯახური მდგომარეობის მითითებით იყო - 4100 შემთხვევა

ზოგადი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის შესახებ

პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.


საქართველოს პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისგან. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

დიაგრამა 1. პროპორციული წესით მიღებული მანდატების განაწილება საარჩევნო სუბიექტებს შორის⁶



⁶ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი, 2016 წლის 16 ნომბერი, <https://goo.gl/YU8ka6>

დიაგრამა 2. მაჟორიტარული წესით მიღებული მანდატების განაწილება საარჩევნო სუბიექტებს შორის⁷



მე-9 მოწვევის პარლამენტი უფლებამოსილებას ახორციელებს 2016 წლის 18 ნოემბერიდან. პირველ პლენარულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს ირაკლი კობახიძე, ამავე დღეს აირჩიეს:

- თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები უმრავლესობიდან: ილია ნაკაშიძე; ზვიად ძიძიგური; გიორგი ვოლსკი
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე უმცირესობიდან: სერგი კაპანაძე
- პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ფრაქციიდან „საქართველოს პატრიოტები“ - ირმა ინაშვილი

პარლამენტში იქმნება ფრაქციები, რომლებიც წარმოადგენს პარლამენტის წევრთა (არანაკლებ 6 პარლამენტის წევრი) გაერთიანებებს მათი საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ფრაქციების შემადგენლობის ცვლილება დაინიშნა მას შემდეგ, რაც პარტიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შიდა დაპირისპირება მოხდა⁸, საბოლოოდ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პარლამენტში იყო:


- უმრავლესობაში შემავალი ფრაქციები: „ქართული ოცნება“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრენველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“, „ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები“, „ქართული ოცნება - ძლიერი ეკონომიკა“, „ქართული ოცნება - ძლიერი საქართველოს“.

⁷ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმი, 2016 წლის 16 ნოემბერი, <https://goo.gl/PMGEZ6>

⁸ ვრცლად ინფორმაცია წარმოდგენილია მე-3 თავში „მნიშვნელოვანი მოვლენები“

- უმცირესობაში შემავალი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“
- ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“
- ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“.

დიაგრამა 3. ფრაქციების რაოდენობა



პარლამენტს ჰყავს 2 წევრი, რომელიც არცერთ ფრაქციაში არ არის გაერთიანებული:

- სალომე ზურაბიშვილი (დამოუკიდებელი წევრი)
- რამაზ ნიკოლაიშვილი (უმცირესობის წევრი)

საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში განსაკუთრებული როლი აკისრიათ საპარლამენტო კომიტეტებს, რომელთა მიზანია საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადება, პარლამენტის გადაწყვეტილებების შესრულების ხელშეწყობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი. პარლამენტი კომიტეტებს ქმნის თავისი უფლებამოსილების ვადის შესაბამისად. ყველა კომიტეტის თავმჯდომარე უმრავლესობის წარმომადგენელია.

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებია:

1. აგრარულ საკითხთა კომიტეტი - თავმჯდომარე ოთარ დანელია (უმრავლესობა)
2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი - თავმჯდომარე სოფიო კილაძე (უმრავლესობა)
3. განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტი - თავმჯდომარე მარიამ ჯაში (უმრავლესობა)
4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი - თავმჯდომარე კახაბერ კუჭავა

(უმრავლესობა)

5. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი - თავმჯდომარე რომან კაკულია (უმრავლესობა)
6. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი - ზვიად კვაჭანტირაძე (უმრავლესობა)
7. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი - თავმჯდომარე თამარ ხულორდავა (უმრავლესობა)
8. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი - თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი (უმრავლესობა)
9. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი - თავმჯდომარე ეკა ბესელია (უმრავლესობა)
10. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი - თავმჯდომარე ზაზა გაბუნია⁹ (უმრავლესობა)
11. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი - თავმჯდომარე სოფიო ქაცარავა (უმრავლესობა)
12. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი - თავმჯდომარე გიორგი კახიანი (უმრავლესობა)
13. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი - თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე (უმრავლესობა)
14. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი - თავმჯდომარე მიხეილ ყაველაშვილი (უმრავლესობა)
15. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი - თავმჯდომარე აკაკი ზოიძე (უმრავლესობა)


⁹ თავდაპირველად თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გრიგოლ ლილუაშვილი, ხოლო მას შემდეგ რაც მას სხვა თანამდებობაზე დანიშნის გამო შეუწყდა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება, კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ზაზა გაბუნია.

ზოგადი სტატისტიკა

2016 წლის 18 ნოემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდა¹⁰:

- **68** პლენარული სხდომა, აქედან 19 იყო რიგგარეშე
- ბიუროს **128** სხდომა

ღიაგიაჲა 4. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების რაოდენობა



პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში:

- კვორუმის არარსებობის გამო პლენარული სხდომა არ ჩაშლილა
- პარლამენტის მუშაობას საპარლამენტო ოპოზიციამ (უმცირესობა, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“) ბოიკოტი 5-ჯერ გამოუცხადა და ამ მიზეზით 7-ჯერ არ მიიღო მონაწილეობა პარლამენტის პლენარული სხდომის მუშაობაში. ფრაქცია „საქართველოს პატრიოტებმა“ 2-ჯერ გამოუცხადა ბოიკოტი პარლამენტის მუშაობას და არ დაესწრნენ 3 პლენარულ სხდომას.


საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა მიიღო:

- **649** კანონი
- **1864** დადგენილება

¹⁰ 2017 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრამდე ჩათვლით პერიოდში ჩატარდა: 57 პლენარული სხდომა, მათ შორის 14 რიგგარეშე სხდომა, ბიუროს 105 სხდომა. პარლამენტმა მიიღო 542 კანონი, 1633 დადგენილება, 60 ხელშეკრულების, შეთანხმების, კონვენციის რატიფიცირება მოხდა.

- მოახდინა **73** საერთაშორისო ხელშეკრულების, შეთანხმების, კონვენციის რატიფიცირება
- მიიღო **1** რეზოლუცია

ღიაბიამა 5. მიღებული კანონების ჩაოქნოზა და ავტორები



პრეზიდენტმა მოტივირებული შენიშვნებით 5-ჯერ დაუბრუნა საკანონმდებლო ინიციატივები პარლამენტს. პარლამენტმა არცერთ შემთხვევაში არ გაიზიარა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები წარმოდგენილ კანონპროექტებთან დაკავშირებით. პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები შეეხებოდა შემდეგ საკანონმდებლო ინიციატივებს:

1. საქართველოს კონსტიტუციაში შესატან [ცვლილებებს](#)
2. კომისიების დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით [საარჩევნო კოდექსში](#) შესატან ცვლილებებს
3. თვითმმართველო ერთეულების გაუქმების შესახებ [ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსში](#) შესატან ცვლილებებს
4. [ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ](#) კანონპროექტის პაკეტს
5. [მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის](#) ფარგლებში წარდგენილ ინიციატივას


მნიშვნელოვანი მოვლენები

4.1 საკონსტიტუციო კომისიის შექმნა და კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესი

IX მოწვევის პარლამენტის პირველი წლის საქმიანობის მნიშვნელოვანი პროცესი იყო საკონსტიტუციო ცვლილებები. რეფორმის განხორციელება უმრავლესობის საარჩევნო დაპირებას წარმოადგენდა¹¹.

კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის მომზადების მიზნით 2016 წლის 15 დეკემბერს შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომლის შემადგენლობა 73 წევრით განისაზღვრა. საკონსტიტუციო კომისიას ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე, ხოლო კომისიის მდივანი პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თამარ ჩუგოშვილი იყო. საკონსტიტუციო კომისიაში შეიქმნა 4 სამუშაო ჯგუფი.¹² შემადგენლობაში საპარლამენტო სუბიექტების წარმომადგენლობა შემდეგი კვოტით განისაზღვრა:

საპარლამენტო სუბიექტების წარმომადგენლობა საკონსტიტუციო კომისიაში



11 „პროცესი გასული წლის დეკემბერში დაიწყო, როდესაც საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა. გადაწყვეტით, რომ შედეგის მისაღწევად, პროცესი უნდა ყოფილიყო ძალიან მაღალი მონაწილეობის და ჩართულობის საფუძველზე. ამიტომაც შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია 2016 წლის დეკემბერში. ეს იყო „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება, რომ გაუმჯობესებულიყო კონსტიტუცია. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაპირება, რომელიც მმართველმა პარტიამ მოსახლეობას საპარლამენტო არჩევნების წინ მისცა და ჩვენ ვმოქმედებთ ამ დანაპირების შესაბამისად“, ვრცლად იხ: ირაკლი კობახიძე: „ჩვენ გვყენება კონსტიტუცია, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება ევროპული კონსტიტუციონალიზმის საუკეთესო პრაქტიკასთან“, საქართველოს პარლამენტი, 19 სექტემბერი 2017, <https://goo.gl/1ghMD>

12 ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულისა და ზოგადი და გარდამავალი დებულებების საკითხთა სამუშაო ჯგუფი; საქართველოს პარლამენტის, ფინანსებისა და კონტროლის და საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი; საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და თავდაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფი.

კომისიის შემადგენლობა შექმნის პერიოდიდან ბოლო სხდომის ჩათვლით ცვლილებას განიცდიდა. საქართველოს პრეზიდენტმა კომისიის შექმნისთანავე განაცხადა, რომ პროტესტის ნიშნად არ ჩაერთვებოდა კომისიის მუშაობაში. ეს გადაწყვეტილება ძირითადად უკავშირდებოდა იმას, რომ არ იქნა გათვალისწინებული პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული კომისიის შექმნის წესი და არ მოხდა კომისიის თანათავმჯდომარედ მისი დანიშვნა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამ წარმომადგენელს¹³, რომლებიც კომისიის ექს-ოფიცო ნევრები იყვნენ, არ მიუღიათ მონაწილეობა კომისიის მუშაობაში. კომისიის საქმიანობას ნევრთა ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა და შემადგენლობა დატოვა. აღნიშნულის მიზეზად დასახელდა მმართველი პარტიის მიერ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიების შემოთავაზების გაუთვალისწინებლობა. კომისიის შემადგენლობა ნევრებმა ბოლო სხდომის დროსაც დატოვეს.¹⁴

კომისიის საქმიანობის პროცესში არაერთი წინადადება იქნა წარდგენილი როგორც ნევრების, ისე არაწევრი ორგანიზაციებისა თუ პირების მხრიდან. კომისიამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი წინადადებებიდან უმეტესი ნაწილი გაიზიარა, თუმცა არ გაუთვალისწინებია ჩვენი წინადადებები ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, როგორიც არის საარჩევნო სისტემა, პრეზიდენტის არჩევის წესი და რამდენიმე სხვა საკითხი¹⁵.

კონსტიტუციის თავდაპირველ ინიცირებულ პროექტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შენიშვნები არსებობდა საარჩევნო სისტემის მიმართ, კერძოდ ნარჩუნდებოდა 5%-იანი ბარიერი, უქმდებოდა საარჩევნო ბლოკები და გადაუწაწილებელი მანდატები პირველ ადგილზე გასულ პარტიას ემატებოდა. არც ერთი ალტერნატიული წინადადება საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით კომისიის მიერ არ იქნა გაზიარებული. ასევე უარყოფითად ფასდებოდა პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის წესის გაუქმება¹⁶.

იმის გამო, რომ კონსტიტუციის წარმოდგენილ პროექტში სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით (საპარლამენტო საარჩევნო სისტემა, პრეზიდენტის არჩევის წესი და სხვა რამდენიმე საკითხი) მთავრობისა და მმართველ პარტიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა ვერ შედგა, კონსტიტუციის წარდგენილმა პროექტმა არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობისა და სახალხო დამცველის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

მას შემდეგ რაც საკონსტიტუციო კომისიამ იმსჯელა განსახორციელებელ ცვლილებებზე, ჩატარდა საყოველთაო-სახალხო განხილვები უმრავლესობამ დარეგისტრირებულ კანონპროექტში შეცვალა პროექტის (პლენარულ სხდომაზე განხილვამდე) პროპორციული ახალი საარჩევნო სისტემის ამოქმედების ვადა და 2020 წლის ნაცვლად განსაზღვრეს 2024 წელი. ეს ფაქტი მოულოდნელი აღმოჩნდა ვენეციის კომისიისთვისაც, რადგან მათთან გაგზავნილი პროექტი ითვალისწინებდა საარჩევნო სისტემის ცვლილებას 2020 წლისთვის.

არასამთავრობო სექტორის მხრიდან აღნიშნულ ქმედებას მოჰყვა უარყოფითი შეფასება და გავრცელდა მიმართვა საერთაშორისო საზოგადოებისადმი. ეს ცვლილება შეფასდა, როგორც

13 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანსა და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს

14 „საპარლამენტო უმცირესობის ნევრებმა (სერგი კაპანაძე; ოთარ კახიძე; გიორგი ტულუში; ზურაბ ჭიაბერაშვილი; ხათუნა გოგორიშვილი; სალომე სამადაშვილი; მამუკა ჩიქოვანი; ირაკლი აბესაძე.) ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ ნევრებმა (ირმა ინაშვილი; ნატო ჩხეიძე); იმ პარტიებისა წარმომადგენლებმა, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი, მაგრამ მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 3 %: შალვა შავგულიძე (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „თავისუფალი დემოკრატები“); დიმიტრი ლორთქიფანიძე (პოლიტიკური პარტია - „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“); გიორგი გუგავა („საქართველოს ლეიბორისტული პარტია“); ნიკა მაჭუტაძე (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“).

15 სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შეფასება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 02 მაისი 2017, <https://goo.gl/Sc5vf2>.

16 ვრცლად იხ. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შეფასება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 02 მაისი 2017, <https://goo.gl/Wtdi4F>.

ძალაუფლების კონსოლიდაციისკენ მიმართული პირდაპირი და გამიზნული მცდელობა¹⁷. საკომიტეტო განხილვების პროცესში ცნობილი გახდა ვენეციის დასკვნის პირველადი დოკუმენტი, სადაც პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გადავადება „ძალიან სამწუხარო ფაქტად“ შეფასდა. ასევე აღინიშნა, რომ „2017 წლის 20 სექტემბრის შეთავაზება, რომელიც არჩევნებში ბლოკების მონაწილეობას და 3%-იან საარჩევნო ბარიერს ითვალისწინებს, არის ის ფაქტორები, რომლებიც გარკვეულწილად ამსუბუქებს იმ ნეგატიურ ეფექტს, რაც პროპორციულ სისტემაზე გადასვლის გადავადებას ახლავს თან“¹⁸.

პარლამენტმა კონსტიტუციის ცვლილებები მესამე მოსმენით 26 სექტემბერს მიიღო. პრეზიდენტმა არ მოაწერა ხელი კანონს და პარლამენტს მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა. ვეტო შეეხებოდა პროპორციული წესით არჩევნების ჩატარებას, გაუნაწილებელი მანდატების პროპორციულად განაწილებას, 3 % საარჩევნო ბარიერის საკითხებს. ასევე პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას, რელიგიური უფლებების შეზღუდვის შემთხვევებს, საარჩევნო წლის განმავლობაში არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შესახებ ნორმებს.

საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში საქართველოს პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ვეტოს დაძლევის შესახებ კონსულტაციები გაიმართა. უმრავლესობის მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ პრეზიდენტს ვეტო მხოლოდ ორ ნაწილში, ბონუსის სისტემისა და ერთჯერადი ბლოკების წინააღმდეგ გამოეყენებინა. მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენდა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა.¹⁹

პარლამენტმა არ გაიზიარა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები, დაძლია ვეტო და ნოემბერში თავად მოახდინა ცვლილებების ინიცირება, რომლის გაცხადებული მიზანი იყო ვენეციის კომისიის 6 ოქტომბრის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების ასახვა. კერძოდ, პროექტი ითვალისწინებს ე.წ. ბონუსის სისტემის ამოღებას, ერთჯერადად მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ბლოკების მონაწილეობას, უქმდება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს სიითი შემადგენლობის სრული თანხმობით.

თუმცა მოხდა სხვა ისეთი საკითხების დამატება, რომელიც ცვლილებების თავდაპირველ ტექსტში არ იყო ასახული და გაუღერდა მხოლოდ საყოველთაო-სახალხო განხილვის ბოლო შეხვედრაზე, რომელსაც მხოლოდ კონსტიტუციური ორგანოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამ ცვლილებების შესახებ არც განმარტებით ბარათში იყო აღნიშნული. პრობლემური საკითხები უკავშირდებოდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციის მე-18 მუხლის ჩანაწერსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის სტატუსის განსაზღვრის საკითხებს²⁰. პარლამენტმა განხილვებზე სრულად არ გაითვალისწინა იუსტიციის სამინისტროს შემოთავაზებული ცვლილებები ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით, თუმცა ამ მუხლში ცვლილებები მაინც განხორციელდა. საანგარიშო პერიოდში კონსტიტუციურ კანონში აღნიშნული ცვლილებების პროექტი პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო.

17 არასამთავრობო ორგანიზაციები: საქართველოს დემოკრატიული განვითარება საფრთხეშია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 27 ივნისი, 2017, <https://goo.gl/74VrxZ>.

18 <http://netgazeti.ge/news/221845/>

19 „პრეზიდენტის შეთავაზება კონსტიტუციაზე ჩიხიდან გამოსვლის შესაძლებლობა“, არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება, 07 ოქტომბერი, 2017, <https://goo.gl/CFwykb>

20 ცვლილება მიზნად ისახავდა გააფართოვოს იმ საფუძვლების გაფართოებას, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიზღუდებოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მეორე პრობლემური ცვლილების შესაბამისად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ინსტიტუტი განისაზღვრება კონსტიტუციით, ასევე კონსტიტუციით დგინდება მდივნის თანამდებობაზე განწესების წესი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილების ოთხწლიანი ვადა. აღნიშნული ცვლილების ინიციატორი თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედი მდივანი იყო. ვრცლად იხ. „პარლამენტი კონსტიტუციური ცვლილებების პროცესში არ უნდა გასცდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს“, 15 დეკემბერი, 2017, <https://goo.gl/mtrgTt>

4.2 ღია მმართველობის პარტნიორობა (OPEN GOVERNMENT PARTNERSHIP, OGP) და ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის რამდენიმე

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ღია მმართველობის მიმართულებით, კერძოდ 2017 წლის 19 სექტემბრიდან საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. IX მოწვევის პარლამენტში გაგრძელდა მუშაობა ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და ვალდებულებების შესრულების მიმართულებით.

2017 წლის 16 იანვარს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს“ დახმარებას უწევს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შედგება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. 2017 წლის 16 მაისს, საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს ღია პარლამენტის 2017-2018 წლების სამუშაო გეგმა. მოგვიანებით ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოს რეკომენდაციით, სამოქმედო გეგმა ორად გაიყო და [2017 წლის გეგმა](#)²¹ ცალკე დამტკიცდა. განისაზღვრა ახალი ვადები და ასევე ვალდებულებების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მიზნებთან.

2017 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 24 ვალდებულებას და ემყარება ღია მმართველობის პარტნიორობის ძირითად პრინციპებს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ანგარიშვალდებულება, პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა, ტექნოლოგიები და ინოვაცია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ნიციბატივის ავტორი/თანაავტორია.²²

საანგარიშო პერიოდში გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო ინიციატივები: ეთიკის კოდექსის მიღების, პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვის, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის განხილვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების დახვეწის, კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმების მომზადებისა და გასაჯაროების, პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ინსტიტუციონალიზაციისა და ღია მმართველობა საქართველოს ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობის თაობაზე.

4.3 სვლიჯაბი უმრავლესობასა და უმცირესობაში

მე-9 მოწვევის პარლამენტში უფლებამოსილების ცნობიდან იცვლებოდა როგორც წევრთა შემადგენლობა, ისე ფრაქციების რაოდენობაც. აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლის გამო პარლამენტის 3 წევრს შეუწყდა უფლებამოსილება, კერძოდ: გიორგი კვირიკაშვილი - მთავრობის თავმჯდომარე, ვახა კალაძე - ენერგეტიკის მინისტრი, ხოლო გიორგი გახარია - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გახდა. უფლებამოსილების ცნობის შემდეგ ოპოზიციის კანდიდატმა სანდრა ელისაბედ რულოვსმა პარლამენტში შესვლაზე უარი განაცხადა. მოგვიანებით პარლამენტის ერთი წევრი - მანანა კობახიძე აირჩიეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ. პარლამენტის წევრთა შემადგენლობაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

21 საქართველოს ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმა, <https://goo.gl/cdZxJP>

22 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ინიციატივები, შეეხება: ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, პარლამენტის ვებ გვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის განახლებას (სადეპუტატო და საკომიტეტო კითხვებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაციის, პარლამენტის წევრების მიერ პლენარული და კომიტეტის სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენების შესახებ, დეპუტატების და აპარატის თანამშრომლების სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია) საჯარო ინფორმაციის ანგარიშების მონიტორინგის შემუშავებას, განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესებას, კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის დასაბუთების ვალდებულებას, პარლამენტის შენობაში შესვლის პროცედურების გამარტივებას.

1. გიორგი კვირიკაშვილის [ადგილმონაცვლე](#) გახდა გუგული მაღრაძე (01.12.2016)²³
2. კახა კალაძის [ადგილმონაცვლეა](#) დავით მათიკაშვილი (01.12.2016)²⁴
3. გიორგი გახარიას [ადგილმონაცვლეა](#) გიორგი ხატიძე (01.12.2016)²⁵
4. სანდრა ელისაბედ რულოვსის [ადგილმონაცვლეა](#) გიორგი ღვინიაშვილი (01.12.2016)²⁶
5. მანანა კობახიძის [ადგილმონაცვლეა](#) ანრი ოხანაშვილი (10. 02.2017)²⁷

პარლამენტის წევრის სტატუსი უმრავლესობის წევრს (მაჟორიტარული წესით არჩეული) გრიგოლ ლილუაშვილს სხვა თანამდებობის (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე) დაკავების გამო [შეუწყდა](#)²⁸.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იცვლებოდა როგორც ფრაქციების რაოდენობა, ასევე მათი შემადგენლობა, რაც ასევე განპირობებული იყო შიდა პარტიული ცვლილებებით.

თავდაპირველად პარლამენტში ჩამოყალიბდა 5 ფრაქცია:

უმრავლესობა

- „ქართული ოცნება“ (110 წევრი)
- „ქართული ოცნება - მრეწველები“ (6 წევრი)²⁹

უმცირესობა

- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (20 წევრი)
- ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - საქართველოს წინსვლისთვის“ - (6 წევრი)

ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“ (6 წევრი)

უმრავლესობის შიგნით გრძელდებოდა სხვა ფრაქციების ჩამოყალიბების პროცესი, კერძოდ უმრავლესობის შემადგენლობაში შეიქმნა შემდეგი ფრაქციები:

- „ქართული ოცნება - კონსერვატორები“

23 საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტს გამოკლებული წევრის გიორგი კვირიკაშვილის ადგილმონაცვლის გუგული მაღრაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ, 2016 წლის 1 დეკემბერი, <https://goo.gl/e4YNDV>

24 საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტს გამოკლებული წევრის კახა კალაძის ადგილმონაცვლის დავით მათიკაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ, 2016 წლის 1 დეკემბერი, <https://goo.gl/GJboEU>

25 საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტს გამოკლებული წევრის გიორგი გახარიას ადგილმონაცვლის გიორგი ხატიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ, 2016 წლის 1 დეკემბერი, <https://goo.gl/GkDLos>

26 საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტს გამოკლებული წევრის სანდრა ელისაბედ რულოვსის ადგილმონაცვლის გიორგი ღვინიაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ, 2016 წლის 1 დეკემბერი, <https://goo.gl/Bb6c8s>

27 საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტს გამოკლებული წევრის მანანა კობახიძის ადგილმონაცვლის ანრი ოხანაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ, 2017 წლის 10 თებერვალი, <https://goo.gl/yL4hQC>

28 საქართველოს პარლამენტის დადგენილება გრიგოლ ლილუაშვილისთვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ, 2017 წლის 22 დეკემბერი, <https://goo.gl/4ABft5>, ; „სუს-ის უფროსის მოადგილედ გრიგოლ ლილუაშვილი დაინიშნა“, <https://goo.gl/wZxNoc>

29 “მრეწველების” ერთადერთი წევრთან სიმონ ნოზაძესთან ერთად ფრაქცია „ქართული ოცნების“ 5-მა დეპუტატმა შექმნა ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“.

- „ქართული ოცნება - მწვანეები“
- „ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“
- „ქართული ოცნება - სოციალ დემოკრატები“

ცვლილებები განხორციელდა ასევე **უმცირესობის შემადგენლობაშიც**, კერძოდ ადგილი ჰქონდა შიდა პარტიულ დაპირისპირებას ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში³⁰, რის საფუძველზეც პარლამენტში შეიცვალა ფრაქციების შემადგენლობა. ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას“ სახელი გადაერქვა და ეწოდა „ევროპული საქართველო“, ხოლო ფრაქციას, „ნაციონალური მოძრაობა - საქართველოს წინსვლისთვის“ „ევროპული საქართველო - უკეთესი მომავლისთვის“ დაერქვა და მას ორი წევრი დაემატა³¹. ასევე შეიქმნა უმცირესობაში ფრაქცია „ევროპული საქართველო - რეგიონები.“

დეპუტატი რამაზ ნიკოლაიშვილი ფრაქცია „ევროპული საქართველოდან“ გავიდა. ის უმცირესობაში დამოუკიდებელ დეპუტატად რჩება.

მოგვიანებით უკვე 2017 წლის დეკემბერში ფრაქციების შემადგენლობა კვლავ შეიცვალა და უმრავლესობის შემადგენლობაში 2 ახალი ფრაქცია დარეგისტრირდა:

- ფრაქცია „ქართული ოცნება-ძლიერი საქართველო“
- ფრაქცია „ქართული ოცნება-ძლიერი ეკონომიკა“

4.4 მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაცია და ნდობის გამოცხადების პროცესი

ხმაურის ფონზე წარიმართა მთავრობის სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისა და აქედან გამომდინარე ნდობის გამოცხადების პროცესი. აღნიშნულის თაობაზე პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის შესაბამისად:

- შემცირდა სამინისტროების რაოდენობა 16-დან 13-მდე და გაუქმდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.³²
- გაუქმდა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო და მისი ფუნქცია გადაეცა პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებას - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.
- თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაერთიანებას, სადაც იყო ჩანაწერი ე.წ. ოდერის ინსტიტუტის გაძლიერების თაობაზე.

ინიციატივის განხილვისა და მიღების პროცესი ხარვეზებით მიმდინარეობდა, ერთის მხრივ დაჩქარებული ვადების გამო, ხოლო მეორეს მხრივ შესაბამისი ფინანსური დასაბუთების არარსებობის გათვალისწინებით. კერძოდ, აღნიშნული ინიციატივა ერთ თვეზე ნაკლებ დროში

30 „ნაციონალური მოძრაობა გაიყო“, 2017 წლის 12 იანვარი, <https://goo.gl/n921dz>

31 პარლამენტის ბიუროს სხდომა, საქართველოს პარლამენტის, 16 იანვარი 2017, <https://goo.gl/K2zWJc>

32 გაუქმდა სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო. მათი მიმართულებები გადანაწილდა სხვა სამინისტროებზე, კერძოდ: გაერთიანდა ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროები, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუერთდა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის მიმართულება, გარემოს დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ენერგეტიკის სამინისტრო კი ეკონომიკის სამინისტროს შეუერთდა.

მიიღო პარლამენტი 3 მოსმენით³³. მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრუქტურული რეორგანიზაციის გაცხადებულ მიზანს წარმოადგენდა სამთავრობო ხარჯების შემცირება, წარმოდგენილი ინიციატივის ფინანსური დასაბუთება³⁴ არ შეიცავდა ინფორმაციას სავარაუდო დაზოგილი ხარჯებისა და ბიუჯეტზე ზეგავლენის შესახებ³⁵.

მნიშვნელოვანი პრობლემა, რასაც თავდაპირველი ინიციატივა ითვალისწინებდა, იყო დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაერთიანების საკითხი. შემოთავაზებული ვარიანტით ხდებოდა ე.წ. „ოდერის“ ინსტიტუტის გაძლიერება, ინსტიტუტის კლასიკური საბჭოთა სახით დაბრუნება. რაც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად უარყოფითად შევაფასეთ³⁶, ასევე მოვუწოდეთ საქართველოს პარლამენტს არ დაეჭირა მხარი შემოთავაზებული ცვლილებებისთვის. ინიციატივა, ასევე, უარყოფითად შეფასდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) საქართველოს მონიტორინგის მისიის მიერ. რის შემდეგაც მთავრობამ პარლამენტთან კონსულტაციების შედეგად წინადადებით მიმართა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს და უკან გაითხოვა 12 კანონპროექტი, მათ შორის „სახელმწიფო უსაფრთხოების შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებული იყო საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გაერთიანება და ე.წ. „ოდერის“ ინსტიტუტის სრულად აღდგენა. “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” მიესალმება ამ ნაბიჯს და საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მოსაზრებების გათვალისწინებას³⁷.

დეპუტატებს შორის აგრეთა სხვადასხვაობა მოყვა გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმებას და მის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გაერთიანებას. ამ ინიციატივას უარყოფითად აფასებდა გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კახაბერ კუჭავა, რომელიც აღნიშნავდა რომ ცვლილებების შემდეგ გარემოს დაცვა პრიორიტეტულობას დაკარგავდა და მნიშვნელოვანი იყო დამოუკიდებლად ყოფილიყო. კომიტეტმა წარმოდგენილ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა³⁸.

მთავრობის სტრუქტურულ ცვლილებებს მოჰყვა ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება. საპარლამენტო კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობისა და უმცირესობის ფორმატში მთავრობის განახლებული შემადგენლობის მხარდაჭერის საკითხზე მსჯელობის პროცესმა, ხმაურის, დაპირისპირებებისა და ინციდენტების ფონზე ჩაიარა.

რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე, მთავრობის განახლებულ შემადგენლობას და სამთავრობო პროგრამას - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა 2018 – 2020“ მხარი 103 ხმით დაუჭირა. წინააღმდეგ ხმა 17 დეპუტატმა მისცა³⁹.

33 2017 წლის 22 ნოემბერს დარეგისტრირდა და 7 დეკემბერს იქნა მიღებული

34 განმარტებითი ბარათი კანონის პროექტზე <https://goo.gl/EZobHy>

35 ინიციატორის მითითებით: „კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯით ნაწილზე, ვინაიდან კანონპროექტის თანახმად, არსებული უწყებების ძირითადი ფუნქციები კვლავაც ნარჩუნდება მთავრობის ახალ სტრუქტურაში და მათი ჯეროვანი განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი რესურსი. ამასთან აღნიშნული ძირითადი ფუნქციების გატარებასთან დაკავშირებული დამხმარე ფუნქციების განხორციელების ნაწილში მოსალოდნელია გარკვეული ოპტიმიზაცია ადმინისტრაციული ხარჯებისა და რესურსების მიმართულებით, რაც 2018 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გამოიკვეთება. კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა ფინანსური შედეგები გამოიწვიოს იმ პირთა მიმართ, რომელთა მიმართაც გავრცელდება მისი მოქმედება. თუმცა, აღნიშნულის წინასწარ გათვლა შეუძლებელია“.

36 „საკანონმდებლო ცვლილებებით საბჭოთა სტილის “ოდერის” ინსტიტუტი ბრუნდება და უპრეცედენტოდ ძლიერდება“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 29 ნოემბერი, 2017, <https://goo.gl/2o6tWU>

37 “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო” დადებითად აფასებს მთავრობის გადაწყვეტილებას უარი თქვას უსაფრთხოების და დაზვერვის სამსახურების გაერთიანებაზე“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 07 დეკემბერი, 2017, <https://goo.gl/HdDcgf>

38 საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სხდომის ოქმი N33, 2017 წლის 29 ნოემბერი. <https://goo.gl/9yvQ6C>

39 საქართველოს პარლამენტი მთავრობის განახლებულ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა“, საქართველოს პარლამენტი, 22 დეკემბერი 2017, <https://goo.gl/6DvxLp>

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სვლილებები

5.1 ჰუმანური საკანონმდებლო სვლილებები

5.1.1 სტამბოლის კონვენსიის რატიფიკაციის განხორციელება

მნიშვნელოვანი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (*სტამბოლის კონვენცია*) რატიფიკირება, რომელსაც საქართველომ ხელი 2014 წლის 19 ივნისს მოაწერა. კონვენციის რატიფიკირებას მოჰყვა [ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში](#) (ინიციატორი: მთავრობა) სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის:

- ქალთა მიმართ ძალადობა განიმარტა, როგორც გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა ის ქმედება, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ზიანის ან ტანჯვის მიყენება, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში;
- გაუქმდა შემაკავებელი ორდერის ძალაში შესვლისთვის 24 საათში სასამართლოში წარდგენის ვალდებულება;
- 2022 წლიდან ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი უფლებამოსილი იქნება კანონით განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში, მიყენებული ზიანის სანაცვლოდ მოითხოვოს კომპენსაცია სახელმწიფოსაგან;
- განისაზღვრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იძულებითი სტერილიზაციისათვის;
- მოხდა ქალის გენიტალიების დასახიჩრების კრიმინალიზაცია; განისაზღვრა ადევნებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;
- დანაშაულებისათვის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად ასევე ჩაითვლება გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი;
- განისაზღვრა, რომ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს ღონისძიებები არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის, არამედ ასევე ქალთა მიმართ ნებისმიერი ძალადობის პრევენციის და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით;

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია ქმედითი და ეფექტური ცვლილებების განხორციელება კანონმდებლობაში, მათ შორის დადებითად უნდა შეფასდეს საერთაშორისო აქტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაკენ გადადგმული ნაბიჯები წარმოდგენილი ინიციატივის მხარდაჭერის სახით.

5.1.2. ქონაზღვრის დაცვის საკანონმდებლო პაკეტი

2016 წლის დეკემბერში მთავრობამ წარმოადგინა საკანონმდებლო პაკეტი რომელიც სხვა [ცვლილებებთან](#) ერთად ითვალისწინებდა ახალი ვალდებულებების გაჩენას თანამდებობის პირის მიმართ დევლარაციის შევსებასთან დაკავშირებით, კერძოდ თანამდებობის პირი ვალდებული

გახდა თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, თუ გათავისუფლებამდე პირს წარდგენილი არ ჰქონდა წლიური დეკლარაცია, წარადგინოს იგი გათავისუფლებიდან 2 თვეში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

აღნიშნული ცვლილება პოზიტიურად უნდა შეფასდეს. „მბრუნავი კარი“ კორუფციასთან დაკავშირებული საფრთხეების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ არაერთ კვლევაში უთითებდა რეკომენდაციის სახით, რომ მომხდარიყო დასაქმების შემდგომი ანგარიშგების პერიოდის გახანგრძლივება⁴⁰.

5.1.3. პატიმრობის კოდექსში სვლიჯობები

მიღებული კანონით (ინიციატორი: მთავრობა) გათვალისწინებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, ინიციატივით შემოვიდა სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა, კერძოდ სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს მიენიჭა უფლებამოსილება, მსჯავრდებულის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში და კანონით განსაზღვრული საშუალებით პერიოდის მოხდის შემდეგ, დარჩენილი სასჯელი შეუცვალოს პირს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით. ცვლილებებით ასევე ქალ მსჯავრდებულს, რომელსაც დაწესებულებაში ჰყავდა 3 წლამდე ბავშვი და 3 წლის ასაკის მიღწევის გამო ბავშვმა დატოვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, მიეცა უფლება, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით, ბავშვის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში, უქმე დღეებში (შაბათ-კვირა) დატოვოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. გათვალისწინებულია შესაბამისი წესები და პირობები. გარდა ამ ცვლილებებისა პენიტენციურ სისტემაში შეიქმნა ახალი – გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რომელიც გათავისუფლებისთვის მოამზადებს დაბალი ან საშუალო რისკის იმ მსჯავრდებულებს, რომელთა მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება 6 თვეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

წარმოდგენილი ცვლილებები პოზიტიურად უნდა შეფასდეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების რეალიზაციის, მათი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

5.1.4. პენიონური ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ინიციატივა

ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის ფარგლებში, რომელიც რამდენჯერმე გადაიდო, მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა ინიციატივა რომლის ფარგლებშიც 2018 წლის 1 იანვრიდან გარკვეული კატეგორიის მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის სავალდებულო გახდა აღნიშნული პროცედურის გავლა. მთავრობის ნორმატიული აქტით რეგულირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების მიმართ მოთხოვნები და მისი პერიოდულობა, ასევე ცალკეული ჯგუფების ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისათვის ზღვრული თარიღები. პერიოდულ ინსპექტირებას განახორციელებს აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამის სფეროში აკრედიტებული ინსპექტირების ცენტრები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

40 „ბიზნესმენები პოლიტიკაში და პოლიტიკოსები ბიზნესში, მბრუნავი კარის პრობლემა საქართველოში“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, 2013, <https://goo.gl/yt314W>

ავტომობილების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ ცვლილებები, წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციისათვის, ასევე გარემოსა და ეკოლოგიის ხელშეწყობის მიმართულებით. ინიციატივა ასევე დადებითად უნდა შეფასდეს საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების თვალსაზრისით.

5.1.5. ხმაურის ნორმების დარღვევისა და პასუხისმგებლობის შესახებ ინიციატივა

პარლამენტში საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე შემუშავდა [ინიციატივა](#)⁴¹, რომლის შესაბამისად განისაზღვრა ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობა დღის და ღამის საათებში საცხოვრებელ სახლებსა და საზოგადოებრივ/საჯარო შენობებში ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის. კანონით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება ასევე ღამის საათებში პიროტექნიკურ ნაკეთობათა გამოყენების შემთხვევაში. ხმაურის დასაშვები ნორმები დადგენილია საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი (საჯარო) შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე კანონის დონეზე საკითხის დარეგულირება და ხმაურის დასაშვები ნორმებზე გადაჭარბების ადმინისტრაციულ სამართალდაღვევად დაკვალიფიცირება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

5.1.6. თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ ინიციატივა

პარლამენტმა ხანგრძლივი განხილვების ფონზე განახორციელა თამბაქოს მოწევის აკრძალვის შესახებ [კანონში](#) ცვლილებები⁴². 2018 წლის 1 მაისიდან იკრძალება თამბაქოს მოწევა ნებისმიერ შენობა-ნაგებობაში, გარდა იმ გამონაკლისებისა რასაც კანონი ადგენს. კანონი ითვალისწინებს მოწევის აკრძალვისა და შემლუდვის აღსრულებაზე დანესებულებათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხს. კანონით ასევე განისაზღვრა თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვით რეალიზაციასა და განლაგებასთან დაკავშირებულ წესები, რომლის ამოქმედების ვადა მიღების შემდეგ გადავადდა⁴³.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება

წარმოდგენილი ინიციატივა თამბაქოს წარმოების და მისი მოხმარების მავნე ზემოქმედების შედეგების თავიდან აცილებას ემსახურება, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს და ინიციატივის მიღება შეესაბამება საქართველოს მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებებს.

5.1.7. გამაჩხივებელი ელექტრონული ტანდემის გაუქმება

2017 წლის 6 აპრილს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა რიგი ცვლილები სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში (ინიციატორი: მთავრობა). ერთ-ერთი [ძირითადი ცვლილებით](#) გაუქმდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ინსტიტუტი, რომელიც ჩვეულებრივი

41 ინიციატორები იყვნენ პარლამენტის წევრები: ე. ბესელია, ლ. გოგიჩაიშვილი, ბ. ოდიშარია, გ. ფოფხაძე, ა. ზოიძე, ი. ბერაია, ს. ზურაბიშვილი.

42 ინიციატორები იყვნენ საქ. პარლამენტის წევრები: ა. ოხანაშვილი, დ. მათიკაშვილი, გ. ხატიძე, ვ. კუჭავა, ს. კილაძე, გ. მაჭარაშვილი, ვ. ნარჩემაშვილი, ი. მემურნიშვილი, რ. იონათამიშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, გ. გულორდავა, ნ. ნილოსანი, რ. არველაძე, ი. ბერაია, მ. ქვარაია, ს. მახათაძე, გ. თოთლაძე, ი. დასენი, ი. წულაია.

43 ცვლილებები თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონში <https://goo.gl/k3Y3bg>

ელექტრონული ტენდერისგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი უფრო შემჭიდროვებულ ვადებსა და გამარტივებული პროცედურებით ტარდებოდა, კერძოდ გამოცხადებისა და მასში წინადადების წარდგენის ვადა კანონის მოქმედი რედაქციით 3 სამუშაო დღე იყო. ცვლილების განხორციელებით კანონმდებლობაში დარჩა მხოლოდ ელექტრონული ტენდერი, რომლის გამოცხადების ვადებიც დამოკიდებული იქნება შესყიდვის ღირებულებაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გაუქმება დადებითად უნდა შეფასდეს ვინაიდან გამარტივებული ტენდერის გამოცხადების დროს არაგონივრულად მცირე ვადებში ხდებოდა ყველა პროცედურის ჩატარება, შესაბამისად, ბევრ პოტენციურ მიმწოდებელს მასში მონაწილეობის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად უმცირებდა.

5.2 პოზიტიური საკანონმდებლო სვლილებები, რომელებიც დახვეწას საჭიროებს

5.2.1. მაინფორმაციის რეგულირების შესახებ კანონი

მე-9 მოწვევის პარლამენტმა [მიიღო](#) ჯერ კიდევ 2015 წელს პარლამენტში წარდგენილი⁴⁴ ინიციატივა სასამართლო რეფორმის შესახებ ტალღის ფარგლებში გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ. კანონპროექტმა ინიცირების შემდეგ არაერთი ცვლილება განიცადა. პრინციპის სახით „შესახებ ტალღის“ მიერ შემოტანილია საქმეთა ელექტრონული და შემთხვევითი განაწილება, რაც მნიშვნელოვან პოზიტიურ სიახლეს წარმოადგენს. ამასთან ერთად თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეების თანამდებობაზე გამწესების წესში ცვლილებას, განისაზღვრა რომ სასამართლოს აპარატის უშუალო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას ახორციელებს სასამართლოს მენეჯერი, შეიცვალა მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი.

კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია ითვალისწინებდა სასამართლოს თავმჯდომარეების თავად ამ სასამართლოების მოსამართლეების მიერ არჩევის შესაძლებლობას, საბოლოოდ კანონით თავმჯდომარეების დანიშვნის უფლება კვლავ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დარჩა.

პარლამენტის მიერ ინიციატივის მხარდაჭერის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა [მოტივირებული შენიშვნებით](#) დაუბრუნა პარლამენტს სასამართლო სისტემის რეფორმის „შესახებ ტალღის“ საკანონმდებლო [ცვლილებების პაკეტი](#)⁴⁵. პრეზიდენტის შენიშვნების დიდი ნაწილი შეეხებოდა ინიციატივებს, რომლებიც კანონპროექტების ტექსტში გაჩნდა ვენეციის კომისიის [დასკვნის](#) გაცემის შემდეგ, მოულოდნელად და საჯარო განხილვის გარეშე. საბოლოო რედაქციით აღარ არის გათვალისწინებული ცვლილებები, რომელთაც ვენეციის კომისია დადებითად აფასებდა (მაგ.: არ იქნება შემოღებული სასამართლოების თავმჯდომარეების არჩევის წესი). გარდა ამისა, კანონპროექტებს დაემატა ისეთი პრობლემური ცვლილებებიც, რომელთაც პირვანდელი ვერსია არ ითვალისწინებდა (უქმდება სასამართლოს თავმჯდომარისთვის დაწესებული შეზღუდვა იმავდროულად იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი).

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება

რეფორმის გატანად საბჭოს მისცა შესაძლებლობა, ათეულობით მოსამართლე გაუმჭვირვალე და ბუნდოვანი პროცესით დაენიშნა. ასევე, გადავადდა საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის ამოქმედება, მათ შორის, საარჩევნო პერიოდში. მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელოვანი და პროგრესული ცვლილებისა, სასამართლო რეფორმის „შესახებ ტალღის“ საკანონმდებლო

44 „კოალიცია მოუწოდებს ხელისუფლებას სასამართლო სისტემის თვისობრივი რეფორმა დაიწყოს“, 24 მარტი 2017, <https://goo.gl/XMipR5>

45 „კოალიცია მოუწოდებს პარლამენტს გაითვალისწინოს პრეზიდენტის შენიშვნები მართლმსაჯულების რეფორმის „შესახებ ტალღასთან“ დაკავშირებით“, 31 იანვარი 2017, <https://goo.gl/mjD9JZ>

პაკეტი არ ასახავს იმ არსებითი ხასიათის რეკომენდაციების დიდ ნაწილს, რომლებიც, როგორც ადგილობრივმა არასამთავრობო სექტორმა⁴⁶, ისე ვენეციის კომისიამ წარადგინა. მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებები აღარ ითვალისწინებს სასამართლოს თავმჯდომარეების მოსამართლეების მიერ არჩევის წესს და შეიცავს ნეგატიურ ცვლილებებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების თვალსაზრისით.

5.2.2 საგზაო უსაფრთხოების ჩაწოჩა

მერვე მონვევის პარლამენტში მთავრობამ საგზაო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ქვეყანაში საგზაო მოძრაობის სფეროში არსებული ვითარების გაუმჯობესების მიზნით წარადგინა ინიციატივა, რომელიც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავდა, მათ შორის უნდა აღინიშნოს მართვის მოწმობაზე 100 ქულიანი სისტემა შემოღება, ასევე გათვალისწინებულია რეგულაციები მარჯვენა საჭის მქონე და მარცხენა მხარეს საჭეგადატანილი მსუბუქი ავტომობილებისა და ავტობუსების რეგისტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებით. დისკუსიის საგანს წარმოადგენდა ცვლილება, რომელიც პოლიციას ანიჭებს ავტომატური ფოტოტექნიკის (რაღარის) და ვიდეოტექნიკის ფარული გამოყენების უფლებას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკომიტეტო მოსმენებზე ცვლილებები შევიდა კანონის პროექტში.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით პოზიტიურია ცვლილებები, რომლებიც ემსახურება უბედური შემთხვევების პრევენციასა და მათზე რეაგირებას. თუმცა კრიტიკას იმსახურებს წარმოდგენილ პროექტში **ფარული პატრულირების** შესაძლებლობა, რასაც არაერთხელ გამოვეხმაურეთ⁴⁷.

ინიციატივის მეორე მოსმენით განხილვის პროცესში ცვლილებები შევიდა წარმოდგენილ პროექტში: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის დასაბუთებული ბრძანებით განისაზღვრება ის პერიმეტრი, სადაც უკონტაქტო პატრულირება განხორციელდება, ამ შემთხვევაში *ინფორმაცია* ფოტოტექნიკის (რაღარი) და ვიდეოტექნიკის შესაძლო გამოყენების შესახებ *განთავსდება მოცემული საგზაო მონაკვეთის შესასვლელსა (შესასვლელსა) და საგზაო მონაკვეთის გამოსასვლელში (გამოსასვლელში)*. პოლიციის შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ ავტომატური ფოტოტექნიკის (რაღარი) და ვიდეოტექნიკის გამოყენება საგზაო მონაკვეთზე ინფორმაციის მითითებას არ საჭიროებს. განისაზღვრა ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის განადგურების და ამოღების წესი.

5.2.3 საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი ჩაგვლი

საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებული იყო შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის შემუშავება და წარდგენა, რომლის ინიცირება მთავრობამ ვადის დარღვევით - ნაცვლად 2016 წლის 1 სექტემბრისა - 2017 წლის 29 სექტემბერს განახორციელა. წარმოდგენილმა კანონმა ქვეყნის ყველა საჯარო დაწესებულებისთვის შრომის ანაზღაურების სისტემა განსაზღვრა. იგი ითვალისწინებს თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის წესს, რომელიც გულისხმობს თანამდებობრივი კოეფიციენტებისა და საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცნებების შემოღებას, აგრეთვე აწესებს სახელფასო დანამატისა და ჯილდოს ზღვრულ ოდენობებს და

46 ვრცლად იხ. სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი, გიორგი ბერაია, სოფო ვერძელი, ქეთი კუკავა, ოლიკო შერმადინი, ეკატერინე ციმაკურიძე, თბილისი, 2017, <https://goo.gl/vqpTfV>.

47 „ფარული პატრულირება კონსტიტუციით დაცულ ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას ეწინააღმდეგება“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 05 თებერვალი 2016, <https://goo.gl/8mT9n5>; განცხადება ფარულ პატრულირებასთან დაკავშირებით შსს მიერ გაკეთებულ განმარტებაზე, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 10 თებერვალი, 2016, <https://goo.gl/Hrxb2y>

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს შეფასება

მისასალმებელი და გონივრულია სახელფასო დანამატის, ფულადი ჯილდოსა და საკლასო დანამატის მეტად რეგლამენტირება და ზედა ზღვრების დანესება, ასევე ის ფაქტი რომ სამართლებრივი ჩარჩო ქმნის შესაძლებლობას მიღწეულ იქნას გამჭვირვალობის, კანონიერების და თანასწორობის გაუმჯობესებული სტანდარტები. აღნიშნული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, კანონი შეიცავს ბუნდოვან დებულებებს, რაც საჭიროებს დახვეწას კანონპროექტის ფეფტურად ამოქმედებისათვის, კერძოდ:

- თანამდებობრივი იერარქიების შიგნით კატეგორიების განაწილება საჭიროებს ნორმატიულ ჩარჩოში მოქცევას, რათა გამოირიცხოს მისი ფართო დისკრეციით, არამიმზნობრივად გამოყენება;
- დაზუსტებას საჭიროებს კოეფიციენტების მინიჭების კრიტერიუმები
- საჯარო დანესებულებაში არასაშტატო დასაქმებულების რიცხოვნობის ლიმიტის გადალახვა შესაძლებელია მთავრობის ნებართვით, თუმცა ისევ არ არის განსაზღვრული თუ რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ ნებართვის გაცემისას
- სათანადო დასაბუთება არ იქნა წარმოდგენილი თუ რატომ უნდა გავრცელდეს კანონი პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე მხოლოდ 2021 წლიდან მაშინ, როდესაც ყველა სხვა თანამდებობებთან დაკავშირებით 2018 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში.⁴⁹

5.3 ნაგაბიური საკანონმდებლო სვლილებები

5.3.1 ოპეიატიუა-საქნიკური სააგენტოს შექმნა

2017 წლის მარტში პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე მესამე მოსმენით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი⁵⁰, რომელიც ფარული საგამოძიებო ღონისძიებების განსახორციელებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დაქვემდებარებული ახალი სააგენტოს შექმნას ითვალისწინებს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი სააგენტო ფართო უფლებამოსილებებით იქნება აღჭურვილი და ის არამართო ტექნიკურად განახორციელებს სატელეფონო საუბრების ფარულად მიყურადება-ჩანერას, არამედ აწარმოებს ფარულ საგამოძიებო და კონტრდაზვერვით საქმიანობასაც. სააგენტო, ამავდროულად ითავსებს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის კომპეტენციას როგორც ლიცენზირების, ისე ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების შემოწმების და მათ მიმართ სავალდებულოდ დასაკმაყოფილებელი ტექნიკური მოთხოვნების წაყენების ნაწილში. გარდა ამისა, სააგენტოს შეუნარჩუნდა პირდაპირი წვდომა ელექტრონულ კომუნიკაციებზე.

48 კანონის პროექტის თავდაპირველ რედაქციით პრომის და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულებისთვის ანაზღაურების განსხვავებული წესით გაცემაზე საჭირო იყო ფინანსთა სამინისტროს ნებართვა, რა დროსაც ბუნდოვანი იყო თუ რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებდა სამინისტრო ნებართვის გაცემისას, ასევე შესაძლოა არც ყოფილიყო აღნიშნული მიზანშეწონილი. აღნიშნული პრობლემური საკითხი საკომიტეტო განხილვების პროცესში შეიცვალა და განისაზღვრა, რომ დადგენილი შეთანხმების ვალდებულება არ ვრცელდება საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებსა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე.

49 „საჯარო დანესებულებაში პრომის ანაზღაურების წესი იცვლება“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 12 დეკემბერი, 2017, <https://goo.gl/qe9hBL>

50 ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები: ევა ბესელია, არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, ირაკლი სესიაშვილი, გიორგი ვოლსკი, სოფიო კილაძე, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, ზვიად კვაჭანტირაძე, გედევან ფოფხაძე, გიორგი ხატიძე, ივლიანე წულაია, ლევან გოგიჩაიშვილი, გურამ მაჭარაშვილი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

საკანონმდებლო პაკეტის მიღება არის საკონსტიტუციო სასამართლოს [გადაწყვეტილების](#) უგულებელყოფა, რომლის საფუძველზეც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი პირადი ხასიათის ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირების და შენახვის წესები. აღნიშნული ცვლილება გასაჩივრებელია საკონსტიტუციო სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და 300-მდე მოქალაქის მიერ, რომელთა ინტერესებს მათ შორის იცავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. ამასთანავე კანონი ნეგატიურად უნდა შეფასდეს შემდეგი რეგულაციების გამო:

- მცირდება ფარული მოსმენების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლი - მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არასაკმარისად ეფექტურად მიიჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის აქამდე მინიჭებული მაკონტროლებელი მექანიზმი, რომლითაც ინსპექტორს შეეძლო სატელეფონო საუბრების მიყურადების როგორც ინიცირებაზე, ისე შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მიღება, რეფორმის შემდეგ ეს მექანიზმი კიდევ უფრო შესუსტდა. ფარული სატელეფონო მოსმენების დაწყების პროცესში ინსპექტორი აღარ მონაწილეობს და მას მხოლოდ ღონისძიების შეწყვეტის უფლებამოსილება შეუნარჩუნდება.
- ფარული მოსმენები არა ერთი ადგილიდან, არამედ რამდენიმე სტრუქტურული დანაყოფიდან განხორციელდება - რეფორმის შემდეგ ახლადშექმნილ სააგენტოს შეუძლია ჰქონდეს ტერიტორიული ორგანოები.
- სუს-ის შემადგენლობაში შექმნილი სააგენტო კერძო ბიზნესის საქმიანობაში ჩაერევა - სამართალდაცვითი და ოპერატიულ-სამძებრო ფუნქციების გარდა, სააგენტო კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის გარკვეულ კომპეტენციებსაც ითავსებს: მონაწილეობას იღებს კომპანიებს ლიცენზირების პროცესში, აქვს უფლება შეამოწმოს ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიები და მოსთხოვოს მის მიერ დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა და განთავსება. ამით, ცალსახად, მძიმდება კერძო კომპანიების უფლებრივი მდგომარეობა. საბოლოო ჯამში კი სააგენტოს ამგვარი ძალაუფლებით აღჭურვა ისევ მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას უქმნის საფრთხეს⁵¹.

5.3.2. მორატორიუმი მიწის გასხვისებაზე

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში [ცვლილებები](#) ითვალისწინებდა მორატორიუმს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამდე შეჩერდა აღნიშნული კანონის მოქმედება. სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწას ვერ შეიძენს: უცხოელი; საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირი; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირი.

მორატორიუმის მიღების შემდეგ კვლავ შეიტანეს აღნიშნულ კანონში [ცვლილება](#): საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებს, მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამონაკლისის სახით და საბანკო საქმიანობის ფარგლებში განსაზღვრული პირობით, გარდამავალ ეტაპზე, მიენიჭათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების შეძენის უფლებამოსილება.

საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტმა მსგავსი შინაარსის ცვლილება 2013 წლის 28 ივნისს ერთხელ უკვე [მიიღო](#). რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 24 ივნისის [განჩინებით](#) არაკონსტიტუციურად მიიჩნია. არაკონსტიტუციურად ცნობილი ცვლილების თანახმად „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების [შესახებ](#)“ საქართველოს

51 „ფარული მიყურადების მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობა არღვევს საქართველოს კონსტიტუციას“, 02 მარტი, 2017, <https://goo.gl/woLmZi>

კანონის ნორმის მოქმედება შეჩერებული იყო. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების გარკვეული პერიოდით აკრძალვის მთავარ მიზნად უთითებდნენ უფრო მდიდარი ქვეყნების მოქალაქეთა მიერ იაფი მიწის მასობრივი შესყიდვის თავიდან აცილებას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

პარლამენტის მიერ 2017 წლის 16 ივნისს მიღებული ცვლილება თავისი შინაარსით, მიზნითა და კრიტერიუმებით იმეორებს 2013 წლის 28 ივნისის არაკონსტიტუციურად ცნობილ შეზღუდვას. გაუგებარია, საქართველოს პარლამენტის პოზიცია, კიდევ ერთხელ დააწესოს აკრძალვა და შეაჩეროს კონკრეტული მუხლის მოქმედება, მაშინ როდესაც მისთვის ცნობილია მოცემული ცვლილების არაკონსტიტუციური ხასიათი. ამასთანავე დაუსაბუთებელია შესაბამისი ინიციატივის მიზანი, არ არის წარმოდგენილი ამ ცვლილების შედეგად სავარაუდო ფინანსური და ეკონომიკური ზეგავლენის დოკუმენტი. მართალია საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებებით უცხოელებისთვის მიწის შეძენა შეზღუდულია, თუმცა კონსტიტუციის ცვლილებები ჯერ ძალაში არ არის შესული. შეუძლებელია მიღებული ცვლილებებით გამართლდეს კანონის მიღება, რომელიც მოქმედ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

5.3.3 თვითმმართველობის ერთეულების გაუქმება

მთავრობამ ივნისში პარლამენტში წარმოადგინა [ინიციატივა](#) ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა 12-დან 5-მდე შემცირდა. მთავრობა ამ ცვლილებას იმით ასაბუთებდა, რომ თვითმმართველობის ერთეულების გაუქმება ინსტიტუციურ მონაცემს უფრო დემოკრატიულს გახდიდა, ხოლო მუნიციპალიტეტების საქმიანობას უფრო ეფექტიანს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

თვითმმართველობის რეფორმამ არა თუ არ უნდა დააშოროს მოქალაქე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და მმართველ რგოლებს, როგორც ეს თვითმმართველი ქალაქების შემცირების შემთხვევაში მოხდა, არამედ, პირიქით - ხელისუფლებამ მოქალაქეთა მეტი ჩართულობა უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღებათა პროცესში.

2014 წელს ხელისუფლების მიერ გაცემული დაპირება იმის თაობაზე, რომ 2017 წლამდე კიდევ უფრო მეტი დეცენტრალიზება მოხდებოდა, არ შესრულდა. ხელისუფლების აღნიშნული გადაწყვეტილება უარყოფითად უნდა შეფასდეს, რადგან იგი ცალსახად დააზარალებს ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს.⁵²

5.3.4. საარჩევნო კომისიების დაკომპლექსების ახალი წესი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა შეიმუშავა [ინიციატივა](#)⁵³ საარჩევნო კოდექსსა და თანმდევ

52 „შვიდი თვითმმართველი ქალაქის გაუქმება ქვეყნის ინტერესებს არ ემსახურება“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 13 აპრილი, 2017 <https://goo.gl/XsrtmH> ; არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პარლამენტის წევრებს, 07 ივლისი, 2017, <https://goo.gl/2TSbhw>

53 ინიციატივით ასევე განისაზღვრა საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირების მიერ ფოტოვიდეოგადაღების წარმოების შესაძლებლობა; დასწრების უფლება მიენიჭა საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის 2 დამკვირვებელს თარჯიმანთან ერთად; პარტიის მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევის წესი, კერძოდ, პარტიას უფლება ექნება ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის დღისა, გამოიწვიოს კომისიის წევრი; დაემატა ჩანაწერი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფისთვის შესაბამისი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიის გაცნობის უფლების მინიჭების შესახებ. მნიშვნელოვანი ცვლილება. ვრცლად იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესატან ცვლილებებზე, 26 ივნისი, 2017, <https://goo.gl/n9M3aj> .

კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც ინიციატივა შეიცავდა იყო ჩანაწერი, რომლის შესაბამისად საარჩევნო ადმინისტრაციაში პარტიების მიერ წევრების დანიშვნა დამოკიდებული იქნება პარტიის მიერ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობაზე. აღნიშნული ცვლილებებით პარტიას ერთზე მეტი წევრის დანიშვნის უფლება ექნება საარჩევნო ადმინისტრაციაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი არჩევნების შედეგებზე უნდა იყოს მიბმული, თუმცა არა მსგავსი გაუმართლებელი ფორმით: ერთ პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში მხოლოდ ერთი წევრის დანიშვნის უფლება უნდა ჰქონდეს და არა რამდენიმე წევრის, როგორც ეს შემოთავაზებული ცვლილებით არის წარმოდგენილი⁵⁴.

5.3.5 საკანონმდებლო წინადადების განხილვის წესის სვლილება

პარლამენტის წევრებმა⁵⁵ წარადგინეს ინიციატივა, რომელიც ახლებურად ადგენს საკანონმდებლო წინადადებით პარლამენტისთვის მიმართვის ამჟამინდელი პრაქტიკისაგან განსხვავებული პირობებსა და წესებს. განისაზღვრება საკანონმდებლო წინადადების წარდგენის წესი. ასევე იცვლება საკანონმდებლო წინადადების წარდგენისა და განხილვის ვადები. კერძოდ, საკანონმდებლო წინადადების ავტორისეული დასაბუთება უნდა შეიცავდეს განსახორციელებელი ცვლილების მიზეზს და არსს. კომიტეტის უფლებამოსილებად განიხილება კომიტეტის სხდომაზე საკანონმდებლო წინადადების განხილვისას დააყენოს საკითხი საკანონმდებლო წინადადების ავტორის მოწვევის თაობაზე. სხდომაზე საკანონმდებლო წინადადებას განსახილველად წარადგენს სხდომის თავმჯდომარე.

კანონპროექტის თავდაპირველ რედაქციაში არსებული ჩანაწერის შესაბამისად, კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ავტორისეული დასაბუთება შესაძლოა არ ჩათვლილიყო სრულყოფილად და დადგენილიყო ხარვეზი. მაშინ როდესაც აღნიშნულ საკითხზე წინადადების განხილვის დროსაც შეიძლება მსჯელობა და შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილების მიღება. კანონპროექტის განხილვის დროსშესაბამისი ნორმა ამოღებული იქნა კანონპროექტიდან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შეფასება

წარმოდგენილმა ინიციატივამ უფლების განხორციელების პროცესში ბარიერები დაადგინა, რაც პარლამენტის არსებული პრაქტიკისაგან განსხვავდება საკანონმდებლო წინადადების მიზანს წარმოადგენს მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა, კერძოდ ეს არის მათი შესაძლებლობა - ჩაერთონ საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში, წარადგინონ საკუთარი იდეები და მოსაზრებები. ამის საპირისპიროდ, მოქალაქეების კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ხაზგასმა არ შეიძლება ბარიერად იქცეს ამ შესაძლებლობის განხორციელებისას. მით უფრო რომ საკანონმდებლო საქმიანობის პრაქტიკა აჩვენებს ხარვეზებს თავად საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტების მხრიდან საკანონმდებლო ცვლილების მიზეზისა და არსის დასაბუთების მხრივაც. ასეთი რეგულაცია საკანონმდებლო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ნაკლებად წარმოშობს პრობლემას, მაგრამ ფიზიკური პირებისათვის შესაძლოა ეს დამატებით ბარიერად იქცეს.

- წარმოდგენილმა ინიციატივამ არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებულ წესი დაადგინა და საკანონმდებლო წინადადების ავტორი არათუ თვითონ ვეღარ წარადგენს წინადადებას, არამედ შეიძლება კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით არც იყოს მიწვეული განხილვაზე⁵⁶

54 არასამთავრობო ორგანიზაციები საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ახალ წესზე, 07 ივნისი, 2017, <https://goo.gl/bxLGue>.

55 ინიციატორები პარლამენტის წევრები: გ. კახიანი, გ. მაჭარაშვილი.

56 <https://goo.gl/2Yhws4>

კანონშემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა და შეფასება

6.1 მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა

მისასალმებელია მე-9 მოწვევის პარლამენტში არსებული პრაქტიკა, როდესაც მთავრობა წარადგენს კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმას, რაც ხელს უწყობს საკანონმდებლო პროცესის დაგეგმილად წარმართვას. საანგარიშო პერიოდში მთავრობამ 2-ჯერ წარმოადგინა სამომავლოდ დაგეგმილი საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაცია:

1. [2017 წლის საგაზაფხულო სესიაზე წარსადგენი ინიციატივები](#)⁵⁷
2. [2017 წლის საშემოდგომო სესიაზე წარსადგენი ინიციატივები](#)⁵⁸

2017 წლის საშემოდგომო სესიაზე წარსადგენი ინიციატივებიდან არ არის წარდგენილი კანონში შესატან სხვადასხვა ცვლილებებთან ერთად მათ შორის შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

- ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონი
- სპეციალიზებული კომერციული და საგადასახადო პალატის შესახებ (სასამართლოების შემადგენლობაში უნდა შეიქმნას კომერციული კოლეგიები/პალატები, რომლებიც სპეციალიზებული იქნებიან ძვირადღირებული კომერციული დავების სწრაფად და ეფექტურად განხილვასა და გადაწყვეტაში)
- მედიაციის შესახებ ახალი კანონი
- აღსრულების კოდექსი
- შპმ პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის შესახებ
- მენარმეთა შესახებ ახალი კანონი

ნიშანდობლივია, რომ მთავრობის კანონშემოქმედებით გეგმაში გათვალისწინებულია ცვლილებების ინიცირება სამოქალაქო კოდექსსა და თანმდევი კანონებში, რომელიც ეხება სასამართლოს გარეშე გამოსახლების წესის დადგენას (ე.წ. „საპოლიციო გამოსახლება“) საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია რომ „2015 წელს საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტის გაუქმებამ ერთი მხრივ გამოიწვია სასამართლოების გადატვირთვა, ხოლო მეორე მხრივ გაუმართლებლად შეაფერხა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის პროცესი, მიზანშეწონილია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების გზით აღდგეს უკანონო ხელშეშლის სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს მიერ აღკვეთის ინსტიტუტი“⁵⁹. ე.წ. საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტის გაუქმების

57 „2017 წლის საგაზაფხულო სესიაზე საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარსადგენი კანონპროექტთა ნუსხა“, 25 იანვარი, 2017, <https://goo.gl/fmq7nE>

58 საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის 2017 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარსადგენ კანონპროექტთა ნუსხა, 31 აგვისტო, 2017, <https://goo.gl/PRivjK>

59 2017 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარსადგენ კანონპროექტთა ნუსხა, გვ. 63, <https://goo.gl/n6UmGE>; 2017 წლის საგაზაფხულო

ნეგატიურ შედეგებზე კანონპროექტის განხილვის ეტაპზე ვუთითებდით⁶⁰, რის შესახებ მოსაზრებები წარუდგინეთ პარლამენტს. საანგარიშო პერიოდში მთავრობის მიერ აღნიშნული საკითხი ინიცირებული არ არის.

კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმის რეგულირებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მთავრობის ანგარიშვალდებულებას კანონშემოქმედებითი გეგმის წარდგენასთან დაკავშირებით და შესაბამისად არ არის განსაზღვრული მასზე მონიტორინგის განხორციელების ფორმა და წესი.

6.2 კომიტეტების საქმიანობის სამოქმედო გეგმა

კომიტეტების საქმიანობის სათანადოდ დაგეგმვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ კომიტეტს ჰქონდეს სამოქმედო გეგმა/სტრატეგია, რომელიც კონკრეტულ პერიოდზე იქნება გათვლილი. ეს შეიძლება იყოს ყოველწლიური და ასევე 2 ან 3 წლიანი გეგმაც. აღნიშნული ინიციატივა ვალდებულების სახით არის გათვალისწინებული ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმაში.⁶¹

არსებული რეგულაციით არ არის განსაზღვრული კომიტეტების ვალდებულება შეიმუშავონ აღნიშნული გეგმები, თუმცა პრაქტიკაში კომიტეტების ნაწილს აქვთ სამოქმედო გეგმა, რაშიც მათ დახმარებას უწევენ საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები.

საანგარიშო პერიოდში 15 კომიტეტიდან 7-ს განთავსებული აქვს პარლამენტის ვებ გვერდზე კომიტეტის სამოქმედო გეგმა/სტრატეგია.

1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი - [2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა](#)⁶²
2. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი - [2017 წლის 6 თვის სამოქმედო გეგმა და 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა](#)⁶³
3. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი [2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა](#)⁶⁴
4. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი - [2016 წლის საგაზაფხულო და სამემოდგომო სესიები და 2018-2020 წლების კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა](#)⁶⁵
5. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს განთავსებული აქვს: [კომიტეტის 2018 წლის საქმიანობის გეგმა; კომიტეტის 2017 წლის საქმიანობის გეგმა; კომიტეტის 2016 წლის საქმიანობის გეგმა; კომიტეტის 2015 წლის საქმიანობის გეგმა](#)⁶⁶

სესიაზე საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარსადგენ კანონპროექტთა ნუსხა, გვ. 37-38, <https://goo.gl/w2Latv>

60 ვრცლად იხ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მოსაზრებები და შენიშვნები უძრავი ნივთის არამართლზომიერი მფლობელების გამოსახლებაზე დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, 4 ივნისი 2015, <https://goo.gl/8b1Ccw>

61 ინიციატორი: გაეროს განვითარების პროგრამა UNDP

62 ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2015-2016, <https://goo.gl/PEYfwR>

63 გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, <https://goo.gl/RX1ptL>

64 საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი სამოქმედო გეგმა 2017-2018, <https://goo.gl/thXeaY>

65 რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი - 2016 წლის საგაზაფხულო და სამემოდგომო სესიები და 2018-2020 წლების კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა, <https://goo.gl/ZEp7Hg>

66 საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის კომიტეტის სამოქმედო გეგმა, <https://goo.gl/AQQf8m>

6. სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტი - [2017 წლის სტრატეგიის პროექტი](#)⁶⁷ -

7. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი [სამოქმედო გეგმა 2017-2020](#)

6.3 დამატებითი წესით ინიციატივების განხილვა

პარლამენტს, რეგლამენტის შესაბამისად, შეუძლია კანონპროექტი განიხილოს და მიიღოს დაჩქარებული წესით⁶⁸, რაც გულისხმობს სამივე მოსმენით მის განხილვასა და მიღებას პლენარული სხდომების 1 კვირის განმავლობაში. დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის ბიურო კანონპროექტის ინიციატორის ან წამყვანი კომიტეტის წინადადების საფუძველზე⁶⁹.

საანგარიშო პერიოდში წინა მოწვევასთან შედარებით გაზრდილია დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობა. კვლავ ხშირია შემთხვევები, როდესაც მნიშვნელოვანი ცვლილებების მიღება ხდება დაჩქარებულ ვადებში, კერძოდ მე-8 მოწვევის პარლამენტმა სულ 437 კანონის პროექტი განიხილა დაჩქარებული წესით, ხოლო მე-9 მოწვევის პარლამენტის პირველ წელს 213. აქვე უნდა აღინიშნოს რომ 12 შემთხვევაში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.


დაჩქარებული წესით კანონპროექტების განხილვა, ერთის მხრივ, ხელს უშლის დაინტერესებული პირების, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ამ პროცესში, ხოლო, მეორეს მხრივ, პრობლემას წარმოადგენს პარლამენტის წევრების მხრიდან ინფორმაციის მიღების, მისი დამუშავების თვალსაზრისითაც. ასეთი წესით ინიციატივის განხილვა გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს. კანონის დაჩქარებული წესით განხილვა სათანადოდ უნდა დასაბუთდეს და ეს პროცედურა პარლამენტმა მხოლოდ რეალური საჭიროების შემთხვევაში უნდა გამოიყენოს.

67 სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სტრატეგიის პროექტი, <https://goo.gl/5ksvPs>

68 დაჩქარებული წესით კანონპროექტი განიხილება იმ შემთხვევაში, თუ იგი ითვალისწინებს მხოლოდ კანონში ცვლილების შეტანას.


69 პლენარული სხდომის 1 დღეს კანონპროექტის ერთზე მეტი მოსმენით განხილვა და მიღება დასაშვებია მხოლოდ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით.

დიაგრამა 6. საანგარიშო პერიოდში დაჩქარებული წესით განსახილველი კანონპროექტების მოთხოვნათა რაოდენობა და შაღები




მოთხოვნების საერთო რაოდენობიდან ყველაზე მეტი მოთხოვნა დაჩქარებული წესით განხილვის თაობაზე ეკუთვნის მთავრობას.

დიაგრამა 7. დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნა და კანონპროექტების რაოდენობა



დიაგრამა 8. პარლამენტის წევრების მიერ დაჩქარებული წესით განხილული კანონპროექტების ინიციატორები და რაოდენობა



ღიაზი 9. სსკ საპარლამენტო სუბიექტების მიერ წარგანილი მოთხოვნების ჩამონათვა

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი	4
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	3
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	1
უმცირესობაში შემავალი ფრაქციები	1
ფრაქცია „ქართული ოცნება“	1
ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	1


6.4 გაგაჩივებული წესით განხილვა და კანონების ამოქმედების გადაწყვეტა

კანონის ამოქმედების გადავადების ორი შესაძლებლობა არსებობს: 1) ინიცირებისას გამარტივებული წესით კანონპროექტის განხილვის მოთხოვნა⁷⁰; 2) კანონპროექტი სხვა ცვლილებებთან ერთად ითვალისწინებს ასევე კანონის ამოქმედების გადავადებას;

მე-8 მოწვევის მსგავსად პრობლემას წარმოადგენს კანონის ამოქმედების გადავადების საკითხი, კერძოდ საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა გამარტივებული წესით (1 მოსმენა) განიხილა და მიიღო 77 კანონის პროექტი. რაც მნიშვნელოვნად აღემატება მერვე მოწვევის მიერ გამარტივებული წესით განხილული კანონპროექტების საერთო რაოდენობას - 47 კანონის პროექტი.

⁷⁰ პარლამენტის რეგლამენტის 164-ე მუხლის შესაბამისად, კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, რომელიც შეეხება კანონით გათვალისწინებული თარიღის (ვადის) ან ტერმინოლოგიური ხასიათის ცვლილებას, პარლამენტის სხდომაზე განიხილება და მიიღება გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით

დიაგრამა 10. გაგაჩივებული წესით განხილული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები



გადავადება შეეხებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის რამდენჯერმე მოხდა საჯარო სამსახურის რეფორმასთან დაკავშირებული რეგულაციების ამოქმედების გადავადება, კერძოდ 2015 წლის 27 ოქტომბერს მიღებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი ნაცვლად 2017 წლის 1 იანვრისა ამოქმედდა 2017 წლის 1 ივლისიდან. (ასევე შესაბამისად გადავადდა ახალი კანონის თანმდევი კანონების ამოქმედების ვადა).⁷¹ ასევე საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობისას პარლამენტს გადავადების ინიციატივით მიმართა მთავრობამ კანონის გარდამავალი პერიოდის ვადების ცვლილების შესახებ.⁷²

ვადის ცვლილება შეეხო თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებულ შეფუთვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, ასევე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის დებულებების ამოქმედებისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემის/ მიღების ახალი ვადებს.

71 საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტთა პაკეტი <https://info.parliament.ge/#law-drafting/13152>

72 გარდამავალ პერიოდად ჩაითვალოს 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი, (ნაცვლად 2017 წლის 31 დეკემბრისა) ხოლო საჯარო დაწესებულებაში შრომითი გასამრჯელოს დადგენისა და წახალისების მიზნებისათვის 2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი

საკანონმდებლო კონსტიტუციური

საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომლის ძირითად ფუნქციას, საკანონმდებლო საქმიანობასა და ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასთან ერთად, წარმოადგენს მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება.

კონტროლის უფლებამოსილებისა და გამოყენების პარლამენტი:

- მთავრობას უცხადებს ნდობას ან უნდობლობას
- მონაწილეობს თანამდებობის პირთა არჩევის პროცესში
- მონაწილეობს თანამდებობის პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის, თანამდებობიდან გადაყენებისა და იმპიჩმენტის გამოცხადების პროცესში

პარლამენტი კონტროლის განხორციელების ფარგლებში იყენებს რეგლამენტით გათვალისწინებულ შემდეგ უფლებამოსილებებს:

- სამთავრობო პროგრამის შესრულების შესახებ ანგარიშები
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენა
- პარლამენტის კომიტეტების მიერ ანგარიშების მოსმენა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კომიტეტების სხდომებზე მინვება
- პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია
- სამთავრობო საათი
- საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები
- მთავრობის ნორმატიული აქტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი
- ნდობის ჯგუფის მიერ განხორციელებული კონტროლი

7.1 ნდობის გამოცხადება

საანგარიშო პერიოდში ნდობის გამოცხადება მოხდა 2-ჯერ. პირველად [2016 წლის 26 ნოემბერს](#), მეორედ 2017 წლის 18 დეკემბერს. პირველად ნდობის გამოცხადების შემდეგ პარლამენტის 3 წევრის უფლებამოსილება შეწყდა პრემიერ-მინისტრის და მინისტრის პოსტზე დანიშვნის გამო ([გიორგი კვირიკაშვილი](#), [კახა კალაძე](#), [გიორგი გახარია](#)). სამთავრობო პროგრამის მოსმენის შემდეგ [დეკლარაციები](#) კითხვები დაუსვეს პრემიერ-მინისტრობისა და მინისტრობის კანდიდატებს⁷³.

73 პრემიერმინისტრობის კანდიდატმა, გიორგი კვირიკაშვილმა და მინისტრობის კანდიდატებმა პარლამენტის წევრების შეკითხვებს უპასუხეს, საქართველოს პარლამენტი, 26 ნოემბერი 2016, <https://goo.gl/WhmuHt>

მოგვიანებით, მთავრობაში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო დღის წესრიგში დადგა მთავრობისათვის ნდობის ხელახალი გამოცხადების საკითხი, რომელმაც ხმაურისა და დაპირისპირებების ფონზე ჩაიარა⁷⁴. პარლამენტმა 2017 წლის 22 დეკემბერს ნდობა გამოუცხადა მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

7.2 სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშის წარდგენა და განხილვა

მოქმედი კანონდებლობა არ ითვალისწინებს პრემიერ-მინისტრის მიერ ანგარიშის წარდგენას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. ანგარიში პარლამენტს წარედგინება წერილობითი ფორმით. თუმცა კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განისაზღვრა პრემიერ-მინისტრის ვალდებულება წელიწადში ერთხელ წარსდგეს პარლამენტის წინაშე მოხსენებით. კანონმდებლობით პარლამენტი ასევე უფლებამოსილია, მოსთხოვოს პრემიერ-მინისტრს სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის რიგგარეშე წარდგენა.

პარლამენტს სამთავრობო გეგმის შესრულების ანგარიში წარედგინა 2017 წლის 5 სექტემბერს.

7.3 თანამდებობის პირთა არჩევა

პარლამენტი რეგლამენტის შესაბამისად მონაწილეობს თანამდებობის პირთა არჩევის პროცესში⁷⁵. საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა 16 თანამდებობის პირი აირჩია.

ცხრილი 1. IX მოწვევის პარლამენტის მიერ არჩეული პირები

თარიღი	კანდიდატურა	თანამდებობა
01.12.2016	არჩილ მესტვირიშვილი	ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად
01.12.2016	მურთაზ კიკორია	ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად
01.12.2016	რობერტ ჰენდერი სინგლეთერი უმცროსი	ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად
08.02.2017	მანანა კობახიძე	საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად
23.03.2017	შოთა ქადაგიძე	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად

74 <http://netgazeti.ge/news/241923/>

75 კანონმდებლობის შესაბამისად პარლამენტი ირჩევს და/ან ნიშნავს: ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს; გენერალურ აუდიტორს; სახალხო დამცველს; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს; მთავარ პროკურორს; კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრებს; ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებს; საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრს - მეურვეს; საპროკურორო საბჭოს წევრებს; საკონსტიტუციო სასამართლოს 3 წევრს; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრს და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2 წევრს; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს; საქსტატის საბჭოს წევრებს.

30.06.2017	ირმა გელაშვილი	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად
30.06.2017	ლევან გზირიშვილი	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად
20.09.2017	ზაზა ხარებავა	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად
30.11.2017	ნაზიბროლა ჯანგაშვილი	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად
01.12.2017	მაია მელიქიძე	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრად
22.12.2017	გიორგი იაკობაშვილი	საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭის ყოფილი წევრის - მეურვე ნათელა სახოკიას ნაცვლად
22.12.2017	ერეკლე მექვაბიშვილი	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორად
30.11.2017	ნინო ლომჯარია	სახალხო დამცველად
01.12.2017	ევა გოცირიძე	საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ
22.12.2017	გოჩა შონია	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრად
22.12.2017	დავით ნარმანია	ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრად

7.4 ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარგზავნილი ანგარიშების მოსმენა

კონტროლის განხორციელების ფარგლებში პარლამენტი ისმენს მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებს.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარმოდგენილ იქნა **16** ანგარიში, აქედან 11 განიხილეს პლენარულ სხდომაზე, ხოლო 5 რეგლამენტის შესაბამისად წარმოადგენდა კომიტეტების განსახილველ ანგარიშს.

ცხრილი 2. პლენარულ სხდომაზე განხილული ანგარიშები

წარდგენისა და განხილვის თარიღი	ანგარიშის დასახელება
28.02.2017-19.04.2017	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის ანგარიში 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ
07.03.2017-19.04.2017	პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2016 წლის ანგარიში
31.03.2017 - 30.06.2017	საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ
04.04.2017 - 19.04.2017	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში
07.04.2017 - 01.06.2017	საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის შესახებ 2016 წლის ანგარიში
27.04.2017 - 16.06.2017	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში
01.05.2017 - 16.06.2017	საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში
25.05.2017 - 30.06.2017	2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიში
01.06.2017 - 26.07.2017	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის ანგარიში
02.06.2017 - 20.09.2017	კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში
28.04.2017 - 16.06.2017	ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული ეროვნული ბანკის 2016 წლის წლიური ანგარიში

ცხრილი 3. კომიტეტების მიერ განხილული ანგარიშები

წარდგენის თარიღი	ანგარიშის დასახელება	კომიტეტი
12.01.2017	გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის ანგარიში	რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის და განათლების მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტები
03.04.2017	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ სამთავრობო ანგარიში	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის; იურიდიულ საკითხთა, ევროპასთან ინტეგრაციის, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტები
06.04.2017	ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისთვის) შესრულების შუალედური ანგარიში	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს
19.04.2017	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ	ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, იურიდიულ საკითხთა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტები
05.09.2017	„თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“ სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიში	დარიგდა კომიტეტებში და ფრაქციებში განსახილველად

7.5 ფრაქციისა და კომიტეტების სხდომაზე მიწვევა და ანგარიშების მოსმენა

7.5.1 ფრაქციის სხდომაზე მიწვევა

პარლამენტის რეგლამენტის 94-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც პარლამენტმა თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს ფრაქციის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს განეული საქმიანობის ანგარიში.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე მთავრობის წევრი სულ 11-ჯერ იყო დაბარებული, აქედან 10-ჯერ იქნა მიწვეული უმცირესობაში შემავალი ფრაქციების მიერ.

უმრავლესობაში შემავალი ფრაქციები კი აღნიშნავენ, რომ ვინაიდან მთავრობის წევრებთან აქვთ არაფორმალური, სამუშაო შეხვედრები დღის წესრიგში აღარ დგება მათი ფრაქციის სხდომაზე დაბარების საჭიროება.

რაც შეეხება ფრაქციას „საქართველოს პატრიოტები“ მათ აღნიშნული უფლებამოსილებით არ უსარგებლიათ, ხოლო ფრაქციამ „ნაციონალური მოძრაობა“ საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე დაიბარა მთავრობის ერთი წევრი.

ცხრილი 4. უმცირესობაში შემავალი ფრაქციების მიერ („ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ევროპული საქართველო - რეგიონები“), ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მთავრობის წევრების ფრაქციის სხდომაზე მიწვევის სტატისტიკა

	თარიღი	სხდომაზე მიწვეული პირი	საკითხი	რეაგირება	შენიშვნა
1	16.01.2017	ენერგეტიკის მინისტრი ვახა კალაძე	საქართველოსა და გაზპრომს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ	არ დაესწრო	დაუსწრებლობის მიზეზად მიუთითეს გადატვირთული გრაფიკი
2	25.01.2017	ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია	იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრა	არ დაესწრო	
3	03.02.2017	განათლების მინისტრი	საჯარო სკოლის მასწავლებლების ხელფასებთან დაკავშირებით	არ დაესწრო	
4	13.02.2017	ენერგეტიკის მინისტრი ვახა კალაძე	საქართველოსა და გაზპრომს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ	არ დაესწრო	დაუსწრებლობის მიზეზად მიუთითეს გადატვირთული გრაფიკი
5	22.02.2017	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური	მოსამართლე ნატა ნაზლაიძის ოჯახის წევრთან დაკავშირებულ გარიგებაზე	არ დაესწრო	

6	02.06.2017	უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური შსს-ს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი	აფგან მუხთარლის საკითხთან დაკავშირებით	არ დაესწრო	
7	01.09.2017	ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმისიშვილი	პენსიასა და აქციზთან დაკავშირებულ საკითხებზე	არ დაესწრო	
8	01.09.2017	საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე	პენსიასა და აქციზთან დაკავშირებულ საკითხებზე	არ დაესწრო	
9	01.09.2017	სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი	პენსიასა და აქციზთან დაკავშირებულ საკითხებზე	არ დაესწრო	
10	11.10.2017	პრემიერ- მინისტრი	ეკონომიკური მდგომარეობისა და უსაფრთხოების მიმართულებით არსებული გამოწვევების შესახებ, მინისტრების მიერ რეგლამენტის დარღვევის შესახებ	არ დაესწრო	
11		საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე	უკრაინაში საქართველოს მოქალაქეების თვსუფლების, ოპტივისა და ღირსების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით	არ დაესწრო	


7.5.2 კომიტეტის სტრუქტურა ანგარიშვალდებული ორგანოების მიწვევა და ანგარიშების მოსმენა

პარლამენტის რეგლამენტის 45-ე მუხლის თანახმად საქართველოს მთავრობის წევრი, პარლამენტის მიერ არჩეული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზეც პარლამენტმა თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს კომიტეტის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს განეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომიტეტმა.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კომიტეტებზე ძირითადად ინფორმაციასა თუ ანგარიშებს წარადგენენ მინისტრის მოადგილეები, ასევე კომიტეტები გარდა საკომიტეტო მოსმენისა, სამუშაო შეხვედრაზე იწვევენ ანგარიშვალდებულ პირებს.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის კომიტეტებმა ანგარიშვალდებული ორგანოების მხრიდან პერიოდული ანგარიშებისა თუ ინფორმაციების მოსმენას 133 სხდომა დაუთმეს.

დიაგრამა 11. კომიტეტების მიერ ანგარიშვალდებული ორგანოების მოსმენისათვის დათმობილი სხდომების რაოდენობა



1. აგრარულ საკითხთა კომიტეტი

აგრარულ საკითხთა კომიტეტის სხდომას მინისტრი 2-ჯერ დაესწრო, წარმოდგენილ იქნა ანგარიში სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ (6 თვის შედეგები) და ინფორმაცია აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე. ერთ შემთხვევაში სხდომას დაესწრო მინისტრის მოადგილე გელა ხანიშვილი, რომელმაც წარმოადგინა ანგარიში სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის შესახებ და სამოქმედო გეგმა. 9 შემთხვევაში სხდომაზე ინფორმაცია წარმოადგინეს იმ უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა, რომელთა საქმიანობის მოსმენაც იყო დაგეგმილი სხდომაზე⁷⁶.

2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

კომიტეტის სხდომებს ესწრებოდნენ მინისტრების მოადგილეები, ასევე მთავარი პროკურორისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე. ანგარიშები უშუალოდ წარადგინეს საქართველოს უზენესი სასამართლოს თავმჯდომარემ, იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსმა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეებმა. საანგარიშო პერიოდში მთავრობის წევრი დაბარებული არ ყოფილა.

3. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

კომიტეტის სხდომას მთავრობის წევრი (მინისტრი) 2-ჯერ დაესწრო, მინისტრის მოადგილე - 3-ჯერ. სხდომებზე განსახილველი საკითხები მათ შორის შეეხებოდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის მოსმენას, სატყეო სექტორის რეფორმასთან დაკავშირებით, ბოტანიკური ბაღისა და კრწანისი-შინდისის ტერიტორიის გარემოსდაცვითი და სამართლებრივი საკითხების განხილვას.

4. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

კომიტეტის სხდომაზე თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის წლიური ანგარიში თავდაცვის მინისტრმა წარადგინა. სხდომაზე უსაფრთხოების სამსახურის წლიური ანგარიში წარმოადგინა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ.

5. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

კომიტეტის სხდომებს 2-ჯერ დაესწრო მინისტრი, ხოლო 10-ჯერ მინისტრის მოადგილეები. სხდომაზე კომიტეტმა მიიწვია საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე და სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილი.

6. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

კომიტეტის სხდომაზე მიწვეული იყო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე.

7. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

კომიტეტის სხდომებს 4-ჯერ დაესწრო მთავრობის წევრი, ხოლო 3 სხდომას დაესწრნენ მინისტრის მოადგილეები.

⁷⁶ ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ დაგეგმილი პროგრამების განხორციელებისა და მიმდინარეობის შესახებ, შპს „მექანიზატორის“ მიერ გაწეული საქმიანობის ეფექტურობის შესახებ, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მავნებლის (აზიური ფაროსანა) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების თაობაზე; შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის შესახებ, ეპიზოტური კეთილსაიმედოობის შესახებ, მცენარეთა დაცვისა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის შესახებ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

8. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტის სხდომებს მთავრობის წარმომადგენელი დაესწრო 5-ჯერ. კომიტეტი ასევე უთითებს მის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებზე, სადაც მთავრობის 8 წევრი მიიწვიეს.

9. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

კომიტეტის სხდომებს საანგარიშო პერიოდში მინისტრი დაესწრო ერთხელ.⁷⁷ სხდომებზე სხვადასხვა სახის ინფორმაციას (მათ შორის, სამინისტროს მომავალი გეგმების შესახებ, გაზიფიცირების მიმდინარეობის შესახებ) მინისტრის მოადგილეები წარადგენდნენ.

10. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

კომიტეტის სხდომებს ესწრებოდნენ მინისტრების მოადგილეები და ცალკეული სტრუქტურების ხელმძღვანელები. კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად საკომიტეტო მოსმენებს დაესწრო მთავრობის 9 წევრი.

11. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას დაეთმო 2 სხდომა. აქედან 1 სხდომა შეეხებოდა მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პროცესს, ხოლო მეორე სხდომაზე მოისმინეს საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის ინფორმაცია კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

12. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენას დაეთმო კომიტეტის 4 სხდომა, რომელსაც მინისტრის მოადგილე და სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

13. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტის სხდომებთან ერთად სამუშაო შეხვედრების ფორმატში მიიწვიეს და მონაწილეობა მიიღეს მინისტრის მოადგილეებმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებმა.

14. სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტის სხდომებს ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების, კულტურის და ძეგლთა დაცვის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრები, ასევე მინისტრის მოადგილეები.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ დაბარებული იყო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, რომელიც დაესწრო სხდომას. ასევე კომიტეტის სხდომას დაესწრო მიწვეული მთავრობის 2 წევრი.

15. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

კომიტეტის სხდომებს 4-ჯერ დაესწრო მთავრობის წევრი, სხვა შემთხვევაში მინისტრების მოადგილეები და უწყებათა ხელმძღვანელები. სხდომები შეეხებოდა ვიზის ლიბერალიზაციის პროცესთან, მიმდინარე საერთაშორისო აქტივობებთან დაკავშირებით, საგარეო ურთიერთობების მიმართულებით საქმიანობის შესახებ ინფორმაციების წარმოდგენას, ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხების სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის 6 თვის ანგარიშის მოსმენას.

⁷⁷ კომიტეტი მოწოდებულ ინფორმაციაში მთავრობის წევრად უთითბს მინისტრის მოადგილესაც. ამ პრინციპით მითითებული აქვს რომ მთავრობის 17 წევრი დაესწრო სხდომას.

7.6 პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვა



პარლამენტის წევრს უფლება აქვს კითხვა დაუსვას



პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას



მხოლოდ წერილობითი ფორმით.

თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვალდებულია პარლამენტს კითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს წერილობითი პასუხი. შესაბამის თანამდებობის პირს კითხვის ავტორთან შეთანხმებით კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა შეიძლება გაუგრძელდეს 10 დღით.



ფრაქციას, პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს



პარლამენტის წინაშე **ანგარიშვალდებული ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს**




აღნიშნული პირების ვალდებული არიან, დასმულ შეკითხვას უპასუხონ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. შეკითხვებს უპასუხებენ პლენარული სხდომების ყოველი თვის ბოლო პარასკევს, სამთავრობო საათის დროს.



პარლამენტის წევრთა მიერ დასმული შეკითხვები და მიღებული პასუხები საჯარო ინფორმაციაა და ხდება მათი პროაქტიულად გამოქვეყნება.

- საანგარიშო პერიოდში პარლამენტის 25 წევრმა დასვა 182 კითხვა. ყველაზე მეტი 38 კითხვა დასვეს ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრებმა სერგო რატიანმა და ზურაბ ჭიაბერაშვილმა.
- პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფის და საპარლამენტო ფრაქციის მიერ ზეპირი ან წერილობითი შეკითხვა არ დასმულა.

დიაგრამა 12. დასმული კითხვების რაოდენობა და ჩააბიჩება




ღიაზი 13. დასახლებული პუნქტების რაოდენობა და ავტომატიზაცია



სადეპუტატო კითხვების უმეტესობა შეეხება თემატიკის შესაბამისად სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვას, მაგალითად სკოლის საშუალო საფეხურის კურსდამთავრებულთა, სტუდენტის შეჩერებული სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის შესახებ, ასევე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევათა თაობაზე, კონკრეტულ პირთა სახელზე არსებული ქონების რეგისტრაციის/კუთვნილების მონაცემის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნას, ასევე ინფორმაციას თუ რამდენი ბრალდებულის მიმართ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა სხვადასხვა ტიპის დანაშაულებზე და ა.შ. კვლავ ხდება სადეპუტატო კითხვის გამოყენება კონკრეტულ მშენებლობებზე გაცემულ ნებართვებთან დაკავშირებით (მაგ., მოქალაქის საცხოვრებელ კორპუსზე მანსარდის უკანონოდ დაშენების თაობაზე).

დეპუტატები კვლავ იყენებენ სადეპუტატო კითხვას სამინისტროს თანამდებობის პირთა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ-ების თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

დიაგრამა 14. კითხვების განაწილება თემატიკის მიხედვით



7.7 სამთავრობო საათი



პარლამენტის წევრთა ათკაციან ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს



პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს. ისინი ვალდებული არიან, დასმულ შეკითხვას უპასუხონ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

შეკითხვებს უპასუხებენ პლენარული სხდომების ყოველი თვის ბოლო პარასკევს, სამთავრობო საათის დროს.



შეკითხვა შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი

შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარედგინება პარლამენტის პლენარულ სხდომას.

ზეპირი შეკითხვა შეიძლება დაისვას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, მაგრამ სამთავრობო საათამდე არაუგვიანეს 14 დღისა.

წერილობითი შეკითხვა შეიძლება წარდგენილი იქნეს სამთავრობო საათის დღემდე არა უგვიანეს 10 დღისა.



ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო კვირის პარასკევს 16:00 საათიდან 19:00 საათამდე, როგორც წესი, იმართება სამთავრობო საათი



არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არ სრულდება. **საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც წინა მოწვევის პარლამენტში არ ჩატარებულა სამთავრობო საათი, რაც ამცირებს საპარლამენტო კონტროლის ეფექტიანობას.**

7.8 დროებითი საგამოძიებო კომისია

საქართველოს კონსტიტუციის და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული საფუძვლების შესაბამისად პარლამენტში იქმნება დროებითი საგამოძიებო კომისია სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, ან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების შესასწავლად.

საანგარიშო პერიოდში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის პრაქტიკა

დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ 6 მოთხოვნა დარეგისტრირდა, თუმცა კომისია არც ერთხელ არ შექმნილა:

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი სამხედრო მოსამსახურეების შესახებ საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის და მათი რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების დანაშაულებრივი ხელშეწყობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია (ინიციატორი: საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“) - [არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული](#);
2. საქართველოს მთავრობასა და კომპანია “გაზპრომ ექსპორტს” შორის დადებული ხელშეკრულების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია (ინიციატორი: საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“) - [კენჭისყრა არ ჩატარებულა](#);
3. საქართველოს მთავარი აუდიტორის ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია (ინიციატორები: უმცირესობაში შემავალი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისათვის - ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისათვის - რეგიონები“) - [განხილულია, მაგრამ კენჭი არ ეყარა](#);
4. აზერბაიჯანელ ჟურნალისტ, აფგან მუხთარლზე თავდასხმის, მისი გადაცემის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია (ინიციატორები: უმცირესობაში შემავალი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისათვის - ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისათვის - რეგიონები“) - [კენჭისყრა არ ჩატარებულა](#);
5. ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტთან დაკავშირებით, ინიციატორი უმცირესობაში შემავალი ფრაქციები - [კენჭისყრა არ ჩატარებულა](#);
6. 2017 წლის 21-22 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე, ინიციატორი: ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ - [პლენარულ სხდომაზე არ განხილულა](#).

7.9 სხვა დროებითი კომისია

გარდა საგამოძიებო კომისიისა პარლამენტში იქმნება სხვა დროებითი კომისია, რომლის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია პარლამენტის რეგლამენტი და სხვა ნორმატიული აქტები. კომისია ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

მე-9 მონვევის პარლამენტში (საგაზაფხულო და საშემოდგომო სესია) 2-ჯერ შეიქმნა დროებითი კომისია:


1. [საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია 01.03.2017](#)

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის ფინანსური აუდიტის განმახორციელებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია 10.03.2017

კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა 14 წევრით. ასევე უფლებამოსილების ფარგლებში, შეიქმნა მონვეული სპეციალისტებისაგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რის შედეგად გაცემულია: დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე, ფინანსური ანგარიშგების ახსნა- განმარტებებით; დასკვნა შესაბამისობის აუდიტზე და შედგენილია ანგარიში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური საქმიანობისა და ფინანსური სისტემების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე, აგრეთვე შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის შემოწმების შედეგებზე. პარლამენტმა კომისიის დასკვნა ცნობად მიიღო.

7.10 მიღებული გადაწყვეტილებების კონსოლი

პარლამენტი აკონტროლებს საქართველოს მთავრობის, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულებას

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას ⁷⁸	
მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სფეროში მოქმედი სამინისტროს, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას,	
მათი შესრულების მდგომარეობას,	
შეისწავლის და აანალიზებს ამ ნორმატიული აქტების მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც უგზავნის შესაბამის უწყებას, რეკომენდაციების განხილვის ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს კომიტეტს არა უგვიანეს 1 თვისა ან მის მიერ დადგენილ ვადაში.	

7.10.1 ჩაკომენდაციების შედეგად და შესრულების კონსოლი

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ახალი პრაქტიკა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის კუთხით განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაბამისი უწყებების ანგარიშების მოსმენასთან

⁷⁸ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 237-ე მუხლი, <https://goo.gl/DkyL9J>

დაკავშირებით. სხდომას ესწრებოდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები. კომიტეტმა შეაფასა ამ სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების მდგომარეობა და გამოკვეთა ის მიმართულებები რაზეც საჭიროა მუშაობის გაძლიერება⁷⁹.

2016-2017 წლებში ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2016 წლის 24 ივნისის და 2017 წლის 30 ივნისის დადგენილებები „**საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ**“ საქართველოს სახალხო დამცველი ანგარიშის თაობაზე, რომლებშიც აისახა პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და სხვა შესაბამისი უწყებების მიმართ. აღნიშნული აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ კომიტეტი ისმენს პერიოდულად ინფორმაციას. საანგარიშო პერიოდში 2017 წლის 21, 27 თებერვლის სხდომებზე კომიტეტმა განიხილა „2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე პარლამენტის 2016 წლის 24 ივნისის დადგენილება, რომელიც ეხება რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. რის შესაბამისადაც შემუშავდა დასკვნა და წარედგინა პარლამენტის ბიუროს. რაც შეეხება 2017 წლის 30 ივნისის დადგენილებას, კომიტეტი ახორციელებს მონიტორინგის პროცესს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა [დადგენილება „ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობის შესახებ“](#) რომელშიც ასახულია ასევე პარლამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციები⁸⁰. კომიტეტი ასევე მონიტორინგს უწევს იურიდიული დახმარების სამსახურის ანგარიშზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებას. პარლამენტმა აღნიშნული შესახებ მიიღო [დადგენილება](#) 2017 წლის 19 აპრილს. ამ მიმართულებით კომიტეტმა 2017 წლის 20 მარტს შეიმუშავა რეკომენდაციები⁸¹.

მიღებული ინფორმაციის შესაბამისად კომიტეტები მიმართავენ რეკომენდაციით მათი საქმიანობის სფეროს შესაბამის სამინისტროებს. მაგალითად სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს საანგარიშო პერიოდში მიმართა 9 რეკომენდაციით⁸².

7.10.2 კანონის გაჩვენებით დაკავშირებით განსაზღვრული დავალების შესრულება

მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლთან დაკავშირებით პარლამენტის ვებ გვერდზე მოცემულია ინფორმაცია კანონების გარდამავალი დებულებებითა და პარლამენტის დადგენილებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების კონტროლთან დაკავშირებით.

კომიტეტები უფლებამოსილების მიმართულებით აკონტროლებენ მათი ზედამხედველობის სფეროში კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულებას.

79 ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ანგარიშები მოისმინა, საქართველოს პარლამენტი, 24 ნოემბერი, 2017, <https://goo.gl/iMFx7m>

80 დადგენილებაზე დასკვნა კომიტეტმა წარმოადგინა საანგარიშო პერიოდის შემდეგ, 2018 წლის 15 თებერვალს <https://goo.gl/k28kQd>

81 2018 წლის 15 თებერვალს რეკომენდაციების შესრულებაზე მომზადდა დასკვნა და წარედგინა ბიუროს <https://goo.gl/Rhcjmm>

82 ამ სფეროში სამინისტროს 2013-2017 წლებში განხორციელებული პროგრამების შედეგიანობის/ეფექტიანობის შეფასება და დასკვნების წარმოდგენა პარლამენტისათვის, სხვა რეკომენდაცია შეეხებოდა სამინისტროსა და ანტიდოპინგურ სააგენტოს თანამშრომლობის გაგრძელებას, დოპინგსაწინააღმდეგო პოლიტიკის სამართლებრივი მექანიზმების სრულყოფილად ასახვის მიმართულებით კანონმდებლობაში და ა.შ

ცხრილი 5. გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულება

კომიტეტი	დავალება	სტატუსი
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი	3 კანონით განსაზღვრული 11 დავალება	შესრულებულია
რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი	8 დავალება	6 შესრულებულია 2-ზე მიმდინარეობს მუშაობა
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	10 კანონით განსაზღვრული 15 დავალება	შესრულებულია
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	6 კანონით განსაზღვრული 16 დავალება	8 შემთხვევაში გადაინია შესრულების ვადა, 1 შესრულებულია, 6-ზე მიმდინარეობს მუშაობა.
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	1 კანონით განსაზღვრული 1 დავალება	შესრულებულია
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	1 კანონით განსაზღვრული 14 დავალება	13 დავალება შესრულებულია

საანგარიშო პერიოდში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მოამზადა და პარლამენტს წარუდგინა ინფორმაცია კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ, რომელთა შესრულების ვადა გავიდა 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2017 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში. აღნიშნული ინფორმაცია განიხილა ბიურომ.

კანონით გათვალისწინებული დავალებების შესრულება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ზოგჯერ ის დაკავშირებულია რეფორმების სრულად ამოქმედებასთან. მაგალითად, საკანონმდებლო სიახლეების სრულად ამოქმედების პრობლემა არსებობდა საჯარო სამსახურის რეფორმის განხორციელებისას. კერძოდ, მთავრობა ვალდებული იყო 2017 წლის 1 სექტემბრამდე პარლამენტში წარედგინა ორი კანონპროექტი და მიეღო სამი დადგენილება, ხოლო 31 დეკემბრამდე დამატებით - 10 დადგენილება. თუმცა 2017 წლის დეკემბერში მთავრობას არ ქონდა შესრულებული არცერთი ვალდებულება⁸³. რაც ერთის მხრივ პარლამენტის მხრიდან მთავრობაზე სათანადო კონტროლის არ არსებობას შეიძლება მიუთითებდეს.

საანგარიშო პერიოდში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული შესასრულებელი 14 დავალებიდან შესრულებულია 13, ხოლო საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაღურების შესახებ კანონით გათვალისწინებული დავალებები საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ინფორმაციით შესრულებულია.

83 საჯარო სამსახურის რეფორმა მნიშვნელოვანად ფერხდება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2016 წლის 13 დეკემბერი, <https://goo.gl/utzW4V>

7.11 სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლი

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლის განხორციელებისას მნიშვნელოვანია კომიტეტების მიერ მისი კვარტალური შესრულების ანგარიშების მოსმენა. საქართველოს პარლამენტის 189-ე მუხლით გათვალისწინებული ბიუჯეტის შესრულებაზე კონტროლის მიზნით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის, 6 თვის და 9 თვის მიმოხილვები, ასევე მთავრობის მოხსენება 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

3 თვის შესრულება განიხილა
6 თვის შესრულება
9 თვის შესრულება

6 კომიტეტმა
14 კომიტეტმა
11 კომიტეტმა



კომიტეტმა ასევე განიხილა საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში რომელსაც მხარი დაუჭირა.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ჰქონდა 7 შენიშვნა/რეკომენდაცია, აქედან ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინეს 6 რეკომენდაცია.

7.12 ნდობის ჯგუფის საქმიანობა

კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სპეციალური პროგრამებისა და საიდუმლო საქმიანობის საბიუჯეტო კონტროლის მიზნით, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში იქმნება ნდობის ჯგუფი. IX მოწვევის პარლამენტმა უფლებამოსილების ცნობიდან 1 წლის განმავლობაში ვერ შექმნა ნდობის ჯგუფი, რომელიც მნიშვნელოვანი საშუალებაა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისათვის.

2017 წლის 1 ნოემბერს პლენარულ სხდომაზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ნდობის ჯგუფის შემადგენლობის ცნობად მიღების საკითხი წარუდგინა პარლამენტს⁸⁴. ნდობის ჯგუფი ხუთი წევრის ნაცვლად, ოთხი წევრით დაკომპლექტდა: ირაკლი სესიაშვილი, ეკა ბესელია, არჩილ თალაკვაძე და ირაკლი აბესაძე. **რაც შეეხება მეხუთე წევრს, ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობისა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა თანაბარი ხმები მიიღეს, ვერცერთი ვერ მოხვდა ნდობის ჯგუფის შემადგენლობაში.** 2017 წლის დასასრულს პლენარულმა სხდომამ ცნობად მიიღო (დაამტკიცა) ნდობის ჯგუფის არასრული შემადგენლობა.

საანგარიშო პერიოდში ნდობის ჯგუფმა პირველი შეხვედრა 28 ნოემბერს გაიმართა. 4 დეკემბერის შეხვედრაზე ნდობის ჯგუფის ფორმატში მოუხმინეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს. ასევე, ოპერატიულ ტექნიკურმა სააგენტომ 2017 წლის დეკემბერში პრემიერსა და ნდობის ჯგუფს საქმიანობის პირველი ანგარიში წარუდგინა⁸⁵.

84 <https://goo.gl/7YmNFj>

85 სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის ანგარიში, <https://goo.gl/qEQhqk>

ინფორმაცია პარლამენტის წევრების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება მის მიერ ფიცის დადებისთანავე და მთავრდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე. პარლამენტის წევრისთვის არ არის დაწესებული განათლების ცენზი და პროფესიული შეზღუდვა.

8.1 პარლამენტის წევრთა ასაკი

მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრების საშუალო ასაკი არის 47 წელი. ყველაზე ასაკოვანი დეპუტატი არის რევაზ არველაძე (უმრავლესობა) - 76 წლის, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა შალვა კიკნაველიძე (უმცირესობა) - 30 წლის.

8.2 პარლამენტის წევრთა განათლება და სპეციალობა

	საქართველოს პარლამენტის წევრთა შორის ერთდროულად ორი სპეციალობით განათლება მიღებული აქვს 34 დეპუტატს.
	პარლამენტის წევრებს შორის: 2 აკადემიკოსი 15 დოქტორი 5 მეცნიერებათა კანდიდატი.
	პარლამენტის წევრთა უმეტესობა, ისევე როგორც წინა მოწვევის პარლამენტში, იურისტები არიან (56). პარლამენტში არის სამედიცინო სფეროს 18 წარმომადგენელი და ეკონომიკის სფეროს 15 წარმომადგენელი.

რაც შეეხება პარლამენტის ქალ წევრებს, 23 ქალი დეპუტატიდან უმეტესობა (9) სამართალმცოდნეა, 2 – ჟურნალისტი, 3 - სამედიცინო მიმართულებით აქვს განათლება მიღებული, 1 - საერთაშორისო ეკონომიკის მიმართულებით. პარლამენტის წევრ ქალებს ასევე მიღებული აქვთ განათლება პოლიტიკური მეცნიერებების, საზღვარგარეთ ქვეყნების მცოდნეობის, ქართული და ინგლისური ენების და ელექტრონული მანქანების მიმართულებით.

ქალთა მონაწილეობა საპარლამენტო საქმიანობაში

საქართველოს პარლამენტში 150 წევრიდან 23 ქალია. მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობისას პარლამენტის წევრის მანდატზე უარი თქვა სანდრა რულოვსმა, და ნაცვლად 24-სა, პარლამენტში არის 23 წევრი ქალი. აქედან 17 წევრი არის პარტიული სიით არჩეული, ხოლო 6 - მაჟორიტარული წესით.


ქალ პარლამენტის წევრებს შორის მაღალი საპარლამენტო თანამდებობები უკავიათ პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, კომიტეტის თავმჯდომარეებსა და საბჭოების თავმჯდომარეებს.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა თამარ ჩუგოშვილი (ფრაქცია „ქართული ოცნება“), რომელიც ასევე არის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ხაზინადართა საბჭოს თავმჯდომარე. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ოპოზიციიდან არის ირმა ინაშვილი (ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“).

პოზიტიურია ის ფაქტი, რომ პარლამენტის წევრი ქალებიდან 5 არის კომიტეტის თავმჯდომარე. ხუთივე უმრავლესობის წევრები არიან:

- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე - მარიამ ჯაში
- ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე - თამარ ხულორდავა
- იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ეკა ბესელია
- საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე - სოფიო ქაცარავა
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე - სოფიო კილაძე

ღიაგზაზე 15. პარლამენტის წევრი ქალების განაწილება პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით



ცხრილი 6. პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა გენდერული ნიშნით განაწილება

თანამდებობა	კაცი	ქალი
აპარატის უფროსი	1	0
აპარატის უფროსის მოადგილე	1	0
აპარატის უფროსის მოადგილის თანაშემწე	1	1
არქივის უფროსი - განყოფილების უფროსი	1	0
ბიბლიოთეკის უფროსი - განყოფილების უფროსი	0	1
ბიუროს თანამშრომელი	174	189
განყოფილების უფროსი	13	17
განყოფილების უფროსი - მთავარი კომენდანტი	1	0
დამლაგებელი	0	85
დამხმარე სპეციალისტი	4	1
დეპარტამენტის უფროსი	5	5
დურგალ - რესტავრატორი	1	0
ელექტრიკოსი	2	0
ზეინკალი	2	0
კომისიის აპარატის თანამშრომელი	7	4
თანაშემწე - შტატგარეშე მოსამსახურე	47	69
კომიტეტის აპარატის უფროსი	8	8
კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე	4	11

ლიფტიორი	2	0
მანდატურთუხუცესი	1	0
მანდატური	8	0
მდივან - სპეციალისტი	0	24
მეხანძრე	6	0
მთავარი სპეციალისტი	33	58
მთავარი სპეციალისტი (ვიდეოფოტოგადამღები)	1	0
მთავარი სპეციალისტი - კომენდანტი	1	0
მთავარი სპეციალისტი - მთავარი ენერგეტიკოსი	1	0
მთავარი სპეციალისტი - რედაქტორი	0	4
მუშა	5	0
პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე	4	1
პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი	1	0
პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის მოადგილე	0	1
პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი	4	2
პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე	0	3
პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამდივნოს უფროსი	0	1
პარლამენტის წევრის თანაშემწე	21	40
პრესცენტრის უფროსი - განყოფილების უფროსი	0	1

საბიუჯეტო ოფისის უფროსი	0	1
სამდივნოს უფროსი	0	1
სანტეჟნიკოსი	3	0
საპარლამენტო უმრავლესობის აპარატის თანამშრომელი	0	7
საპარლამენტო უმცირესობის აპარატის თანამშრომელი	1	4
სპეციალისტი	9	11
სპეციალისტი - (კურიერი)	0	3
სპეციალისტი - ოპერატიული მორიგე	0	1
უფროსი სპეციალისტი	21	34
უფროსი სპეციალისტი - (ვიდეოფოტოგადამღები)	1	0
ფრაქციის აპარატის თანამშრომელი	46	57
შტატგარეშე მოსამსახურე	37	15
შტატგარეშე მოსამსახურე - მძღოლი	89	0
წამყვანი სპეციალისტი	70	127
წამყვანი სპეციალისტი - (ვიდეოფოტოგადამღები)	1	0
წამყვანი სპეციალისტი - კომენდანტი	7	0
წამყვანი სპეციალისტი - კორექტორი	0	2
წამყვანი სპეციალისტი - ხაზინადართა საბჭოს მდივანი	0	1
სულ	645	790

პარლამენტის საბჭოებისა და კომისიების საქმიანობა

10.1 გენდერული თანასწორობის საბჭო

IX მოწვევის პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, წინა მოწვევასთან შედარებით, უფრო მეტად აქტიურია როგორც ახალ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობის, ასევე მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის მიმართულებით.

მეცხრე მოწვევის პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭო შეიქმნა 2017 წლის 5 იანვარს, რის შემდეგაც [დამტკიცდა](#) მისი შემადგენლობა და 2017 წლის 16 თებერვალს მიიღეს [დებულება](#). საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თამარ ჩუგოშვილი.

საანგარიშო პერიოდში საბჭო 3-ჯერ შეიკრიბა⁸⁶. საბჭოს საქმიანობის ფარგლებში შექმნილია თემატური სამუშაო ჯგუფები. დადებითად უნდა შეფასდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს მხრიდან 2017 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კანონპროექტების გენდერული ზემოქმედების ანალიზის (GIA) მეთოდოლოგიის შემუშავების, მისი განხორციელების და ბიუჯეტის პროექტის გენდერული ანალიზის პილოტირება. ამ მიმართულებით იგეგმება 5 კანონპროექტის გენდერული ანალიზი. წინა მოწვევის პარლამენტის საბჭოს სამოქმედო გეგმა, როგორც დამოუკიდებელი სახელმძღვანელო დოკუმენტი, არ ჰქონდა. გენდერულ საკითხებზე პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებებზე შემუშავებული იყო 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა.

საბჭო ცალკეულ საკანონმდებლო ცვლილებებზე საქმიანობას ახორციელებს სამუშაო ჯგუფის ფორმატში. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს გენდერული კვოტირების შემოღების, სექსუალური შევიწროების აკრძალვის თაობაზე. ასევე ჯგუფები მუშაობენ საოჯახო სამართალსა და სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებზე, რაც ფემიციდის დეფინიციის შემოღებას უკავშირდება.

სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მიმართულებით საბჭომ მოამზადა მოსაზრებები 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებით. ასევე დაგეგმილია 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის ერთ-ერთი სეგმენტის გენდერული ანალიზის პილოტირება.

საბჭო ქალთა უფლებების დაცვის მიზნით წინადადებულ ნაბიჯად მიიჩნევს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებასა და თანმდევ 24 კანონში, ასევე კონსტიტუციაში განხორციელებულ ცვლილებას, რომლის შესაბამისად მოხდა ახალი ჩანაწერის გაჩენა თანასწორობასთან დაკავშირებით⁸⁷, რომელიც საბჭოს მითითებით მათი აქტიური ჩართულობისა და ადვოკატირების შედეგია.

მისასალმებელია საბჭოს მხრიდან გახმაურებულ შემთხვევებზე რეაგირება, ამ მხრივ საბჭომ გაავრცელა განცხადება ოჯახში ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, სამართალდამცავმა უწყებამ ოჯახში ძალადობის საქმეზე მოძალადე დააკავა.⁸⁸

86 დებულების შესაბამისად საბჭოს სხდომები იმართება კვარტალში ერთხელ., 2017 წლის 18 აპრილს, 13 ივლისსა და 24 ოქტომბერს.

87 „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მესამე ნაწილი, ამოქმედდება საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

88 <https://goo.gl/zRV7bH>

წინა მოწვევის პარლამენტში გენდერული საბჭოს აპარატი 1 ადამიანისგან შედგებოდა, ამ მხრივ IX მოწვევის პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოს ჰყავს სამდივნო, რომელიც მოიცავს მის ხელმძღვანელს/კოორდინატორს და ეროვნული-დემოკრატიული ინსტიტუტის სტაჟიორს. აგრეთვე, სამდივნოს დაგეგმილი ღონისძიებების გატარებაში მხარს უჭერენ საბჭოს წევრების თანაშემწეები.

10.2 ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო

მეცხრე მოწვევის პარლამენტში პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით 2017 წლის 16 იანვარს შეიქმნა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. საბჭოს საქმიანობის ფარგლები გაიზარდა და 2017 წლის 26 დეკემბრის ცვლილებით, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში, განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგი უფლება [მიენიჭა](#), რაც პოზიტიურ ცვლილებას წარმოადგენს. მუშაობას აგრძელებდა საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობას დაემატა სახალხო დამცველი.

სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით, ღია პარლამენტის საბჭომ, საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად, 2017 წელს 4 გაფართოებული სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. რომელთა განხორციელების მიზნით, შეიქმნა 5 სამუშაო ჯგუფი:

- კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება და მიღება; კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა; სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 1 გაფართოებული და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.
- განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება; სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 1 გაფართოებული და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.
- ეთიკის კოდექსის შემუშავება; სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 5 გაფართოებული და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება; სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 1 გაფართოებული და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.
- საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდის რესტრუქტურისა; სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 3 გაფართოებული სამუშაო შეხვედრა, მათ შორის ერთი, 2 დღიანი გასვლითი სემინარი და რამდენიმე შიდა სამუშაო შეხვედრა.

საბჭომ გამოაქვეყნა ანგარიში 2017 წლის საქმიანობის შესახებ, რომელიც შეეხება განხორციელებულ აქტივობებსა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებების შესრულებას. პერიოდულად „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წარადგენს ანგარიშებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

10.3 ხაზინადართა საბჭო

პარლამენტის საფინანსო საქმიანობას თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს პარლამენტის თავმჯდომარე შესაბამისი კომიტეტის, აგრეთვე ამ მიზნით შექმნილი ხაზინადართა საბჭოს მეშვეობით. ხაზინადართა საბჭო არის პარლამენტის თავმჯდომარის სათათბირო ორგანო. მეცხრე მოწვევის პარლამენტის ხაზინადართა საბჭოს ვიცე სპიკერი თამარ ჩუგოშვილი

ხელმძღვანელობს.

ხაზინადართა საბჭოს ფუნქციაა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით წარდგინებების მომზადება, რომლებსაც ამტკიცებს პარლამენტის ბიურო. კერძოდ, ხაზინადართა საბჭოს ფუნქციებია ფრაქციების აპარატების თანამშრომელთა, ასევე უმრავლესობისა და უმცირესობის აპარატების თანამშრომელთა სახელფასო ფონდის საკითხების, აგრეთვე პარლამენტის წევრების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტა და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში საბჭომ 22 სხდომა ჩაატარა და 115 გადაწყვეტილება მიიღო.

10.4 ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია

2017 წლის 1 მარტს შეიქმნა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საბჭო. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა [4 სხდომა](#). რომელთა ფარგლებშიც მოისმინეს:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ქეთევან ციხელაშვილის ინფორმაცია სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში 2016 წელს განხორციელებული ღონისძიებებისა და სამომავლო გეგმების შესახებ
- ინფორმაცია „ოკუპირებულ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონებში რუსეთის ფედერაციის უკანონო ქმედებებისა და საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტის სამუშაო ვარიანტის განხილვის შესახებ
- აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარიას მოხსენება „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განათლების სისტემაში არსებული ვითარების, ქართული ენის უფლებრივი მდგომარეობისა და აღნიშნულ საკითხებზე საპარლამენტო კომიტეტებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის 2016 წლის 19 აპრილის ერთობლივი სხდომის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობა

საპარლამენტო სუბიექტების საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკური ხასიათის სხვა ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტის აპარატის სტრუქტურაში იქმნება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.

- საკანონმდებლო ინიციატივების ფინანსური დასაბუთების შეფასებასთან დაკავშირებით საბიუჯეტო ოფისში წარდგენილ იქნა 197 საკანონმდებლო ინიციატივა, რაზეც ოფისმა მოამზადა შესაბამისი დასკვნები, მათ შორის 6 საკანონმდებლო ინიციატივაზე საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადდა და შესაბამის დარგობრივ კომიტეტებს მიეწოდა დამატებითი ინფორმაცია.
- საბიუჯეტო ოფისის ინიციატორებმა წარუდგინეს 41 მოთხოვნა როგორც კანონპროექტის შემუშავებამდე, ასევე შემუშავების პროცესში საკანონმდებლო პროცესის სათანადო ფინანსური გათვლების უზრუნველსაყოფად.

საკანონმდებლო ინიციატივების ფინანსური გავლენის შეფასების მექანიზმის და შესაბამისი მარეგულირებელი საკანონმდებლო გარემოს დახვეწის მიზნით ოფისის მიერ მომზადდა:

- ფინანსური დასაბუთების სახით წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია სტანდარტებისა და მითითებების დადგენა ფინანსური დასაბუთების შემოწმებისა და დასკვნების წარმოდგენისათვის
- კანონპროექტების განმარტებითი ბარათის ფინანსური დასაბუთების მომზადების სარეკომენდაციო მეთოდოლოგია, რომელიც ასახავს ფინანსური დასაბუთების მომზადების ზოგად მითითებებს

საანგარიშო პერიოდში ოფისმა მოამზადა რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) სახელმძღვანელო და რეგულირების გავლენის შეფასების ორი დოკუმენტი საპილოტე რეჟიმში. ოფისის ჩართულობით მომზადდა:

- ღია საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმის შეფასება
- ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების შეფასება
- დასაქმების მექანიზმის შესახებ რეგულირების ზეგავლენის შეფასება
- საქართველოს ნარკოპოლიტიკის რეფორმის გენდერული გავლენის შეფასება
- შრომის კანონმდებლობის რეფორმის გენდერული გავლენის შეფასება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებულ იქნა დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური/ფისკალური პროგნოზები სრული მაკროეკონომიკური ჩარჩოსათვის, საშუალოვადიანი პერიოდისათვის და საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის მიმოხილვები. ასევე საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებულ იქნა 2016 წლისა და 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების და მაკროეკონომიკური გარემოს პერიოდისათვის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების, ძირითად მაკროეკონომიკური ინდიკატორების ტენდენციების შესახებ ინფორმაცია.

პარლამენტის წევრთა აქტიურობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ პარლამენტის წევრთა აქტიურობა სამი ძირითადი კრიტერიუმით შეაფასა:

1. პარლამენტის წევრის პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის სიხშირე: განცხადებების გაკეთება, შეკითხვების დასმა, კანონპროექტებთან და სხვა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმა.
2. პარლამენტის წევრისთვის მინიჭებული საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლების გამოყენება.
3. პარლამენტის წევრის მიერ კანონპროექტებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები.



ასევე წარმოგიდგენთ ინფორმაციას პარლამენტის წევრთა მივლინებების შესახებ.









12.1 ინიციატიული კანონპროექტების ჩაოქმედება და ინიციატორები

საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას პარლამენტის წევრები იყენებდნენ როგორც ინდივიდუალურად, ისე რამდენიმე ინიციატორის სახით. კონსტიტუციის ცვლილებების ინიცირება მოხდა 2-ჯერ, რა დროსაც პირველი კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორი იყო პარლამენტის 108 წევრი, მეორე პროექტის კი - პარლამენტის 116 წევრი.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული კანონპროექტების შესახებ (გარდა კონსტიტუციური პროექტის ინიცირებული 2 შემთხვევისა). აღნიშნული უფლება გამოიყენა პარლამენტის 92-მა წევრმა. რაც წინა მოწვევის პარლამენტის 4 წლის საერთო მაჩვენებელზე მეტია (79 წევრი).

ღიაგზაზე 16. ინიციატივი კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატორები




გრიგოლ ლილუაშვილი		12
რატი იონათამიშვილი		11
ნინო გოგუაძე		10
დავით სონდულაშვილი		8
მარიამ ჯაში		8
ოთარ დანელია		8
ოთარ ჩრდილელი		7
კახა კუჭავა		7
გია ჟორჟოლიანი		7
სიმონ ნოზაძე		7
მერაბ ქვარაია		7
ირაკლი ბერაია		7
ბექა ოდიშარია		6
ბექა ნაცვლიშვილი		6
თეიმურაზ კოხრეიძე		6
თამარ ჩუგოშვილი		6
ზაზა გაბუნია		6
გელა სამხარაული		5
დიმიტრი სამხარაძე		5
რევაზ არველაძე		4
თინათინ ბოკუჩავა		3
ელენე ხოშტარია		3
ზურაბ ჭიაბერაშვილი		3
გუგული მაღრაძე		3
თამარ ხულორდავა		3
ირაკლი (დაჩი) ბერაია		3
ისკო დასენი		3
აზერ სულეიმანოვი		2
კობა ლურსმანაშვილი		2
გოგა გულორდავა		2
ნინო წილოსანი		2
გიორგი თოთლაძე		2
შოთა ხაბარელი		2
პაატა მხეიძე		2
გოჩა ენუქიძე		2

1 კანონპროექტის ინიციატორები იყვნენ - უმრავლესობის 28 წევრი⁸⁹, უმცირესობის 3 წევრი⁹⁰, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ 2 წევრი⁹¹, ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ ერთი წევრი.⁹²

12.2 მიღებული კანონების რაოდენობა და ავტორები⁹³

დიაგრამა 17. მიღებული კანონების რაოდენობა და ავტორები

■ უმრავლესობა



89 ალექსანდრე ქანთარია, ლერი ხაბელოვი, კობა კობალიძე კარლო კოპალიანი, ზაქარია ქუცნაშვილი, რუსლან პოლოსიანი, გია ბენაშვილი, დიმიტრი ცქიტიშვილი, სოფიო ქაცარავა, ენძელა მაჭავარიანი, კობა ნარჩემაშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი, სულხან მახათაძე, მირიან წიკლაური, ირაკლი შიოლაშვილი, დიმიტრი ხუნდაძე, გოგი მეშველიანი, რომან მუჩიაშვილი, გენადი მარგველაშვილი, ალექსანდრე ერქვანია, გიორგი გაჩეჩილაძე, კახაბერ ოქრიაშვილი, გიორგი ბეგაძე, ირაკლი აბუსერიძე, დავით ჭიჭინაძე, გიორგი კოპაძე, ზაზა ხუციშვილი, გიორგი მოსიძე.

90 ლელა ქებურია, სერგო რატიანი, სერგი კაპანაძე.

91 სალომე სამადაშვილი, ნიკანორ მელია.

92 ემზარ კვიციანი


93 შენიშვნა: სტატისტიკაში მითითებული მიღებული იმ კანონების რაოდენობა, რომელთა ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები არის 162, ვინაიდან დათვლილია მიღებული კანონის მიხედვით. აქ დათვლილია ცალკეული პარლამენტის წევრის მიერ თითოეულ კანონპროექტზე განხორციელებული ინიცირება და სხვა ინიციატორებთან ერთად დარეგისტრირებული საკანონმდებლო ინიციატივა.



12.3 პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა

სიტყვით გამოსვლის უფლებით ისარგებლა პარლამენტის 120-მა წევრმა. ამ უფლებით წინა მონვევის პარლამენტის 4 წლის საერთო მაჩვენებლის მიხედვით, პლენარულ სხდომაზე ისარგებლა პარლამენტის 135 წევრმა.

ღიაგია 18. პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა (50 და მეტი გამოსვლა)



საანგარიშო პერიოდში ყველაზე ხშირად პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ (განცხადებების გაკეთება, შეკითხვების დასმა, კანონპროექტებთან და სხვა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმა) შემდეგი დეპუტატები:

უმრავლესობა

1. ეკა ბესელია - 264
2. რევაზ არველაძე - 91
3. გიორგი კახიანი - 86

უმცირესობა

1. სერგო რატიანი 121
2. ზურაბ ჭიაბერაშვილი 101
3. სერგი კაპანაძე 100

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“

1. რომან გოცირიძე - 133

საანგარიშო პერიოდში პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლის უფლებით არ უსარგებლია:


- უმრავლესობის 25 წევრს: (ირაკლი აბუსერიძე; ლევან ბეჟანიძე; რუსლან გაჯიევი; ელგუჯა გოცირიძე; მახირ დარზიევი; გოჩა ენუქიძე; მუხრან ვახტანგაძე; გიორგი თოთლაძე, გიორგი კოპაძე; თეიმურაზ კობრეიძე; იოსებ მაკრახიძე; სამველ მანუკიანი; გოგი მეშველიანი, ენზელ მკოიანი, რომან მუჩიაშვილი, თამაზ ნავერიანი, კობა ნაკაიძე, რუსლან პოლოსიანი, დიმიტრი სამხარაძე, ერეკლე ტრიპოლსკი, გოდერძი ჩანქსელიანი, თეიმურაზ ჭკუასელი, ირაკლი ხახუბია, თენგიზ ხუბულური, ვიქტორ ჯაფარიძე);
- უმცირესობის 1 წევრს (ზაზა კედელაშვილი);
- ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ 2 წევრს (კობა ნაყოფია, აზერ სულეიმანოვი);
- ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ 1 წევრს (გელა მიქაძე);
- უმცირესობაში შემავალ უფრაქციო დეპუტატს (რამაზ ნიკოლაიშვილი);

ვრცლად სიტყვით გამოსვლის რაოდენობების შესახებ იხილეთ დანართი 1.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგი პარლამენტში გამართული დებატების შესახებ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, რას ფიქრობს ხალხი პარლამენტში გამართული დებატებისა და მიღებული კანონების შესახებ. წარმოგიდგენთ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს.

დიაგრამა 19. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები დაბატონან და მიღებულ კანონებთან დაკავშირებით



12.4 კანონპროექტთან დაკავშირებით გამოთქმული დაკუთხატა შენიშვნები

პარლამენტის წევრის აქტივობაზე დაკვირვების კიდევ ერთი მაჩვენებელია მათ მიერ კანონპროექტების განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნები, რისი ამსახველი დოკუმენტი (შენიშვნების ფურცელი) თან ერთვის კანონპროექტს და განთავსებულია პარლამენტის ვებ გვერდზე. საანაგრიშო პერიოდში შენიშვნების ფურცლებში დაფიქსირებულია 167 შენიშვნა, აქედან ყველაზე მეტი 99 შენიშვნა იყო საქართველოს კონსტიტუციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე.

პარლამენტის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციით, კანონპროექტებთან დაკავშირებით უმეტესად კომიტეტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები ასახულია შენიშვნების ფურცელში.

ცხრილი 7. პარლამენტის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები

შენიშვნის ავტორი	კუთვნილება	შენიშვნების რაოდენობა	გათვალისწინებულია
ირაკლი კობახიძე	უმრავლესობა	99	93
დავით მათიკაშვილი	უმრავლესობა	6	6
პაატა მხეიძე	უმრავლესობა	6	6
ეკა ბესელია	უმრავლესობა	5	5
გრიგოლ ლილუაშვილი	უმრავლესობა	5	4
გიორგი ხატიძე	უმრავლესობა	5	3
ალექსანდრე ქანთარია	უმრავლესობა	4	1
სერგო რატიანი	უმცირესობა	4	1
გიორგი კახიანი	უმრავლესობა	3	3
ხათუნა გოგორიშვილი	უმცირესობა	3	2
ირაკლი აბესაძე	უმცირესობა	3	2
გიორგი ბეგაძე	უმრავლესობა	3	3
რომან კაკულია	უმრავლესობა	2	2
არჩილ თალაკვაძე	უმრავლესობა	2	1
კობა ლურსმანაშვილი	უმრავლესობა	2	2

მარიამ ჯაში	უმრავლესობა	2	2
დიმიტრი ხუნდაძე	უმრავლესობა	2	1
ისკო დასენი	უმრავლესობა	2	2
ოთარ კახიძე	უმცირესობა	2	1
რომან გოცირიძე	ფრ. „ნაციონალური მოძრაობა“	1	0
სალომე ზურაბიშვილი	დამოუკიდებელი წევრი	1	0
ბექა ნაცვლიშვილი	უმრავლესობა	1	0
რევაზ არველაძე	უმრავლესობა	1	0
აკაკი ზოიძე	უმრავლესობა	1	1
ივლიანე ნულაია	უმრავლესობა	1	1
დავით ჭიჭინაძე	უმრავლესობა	1	1


ყველაზე მეტი შენიშვნა პარლამენტის წევრის მხრიდან დაფიქსირებულია კონსტიტუციური კანონის პროექტზე, კერძოდ ირაკლი კობახიძეს ქონდა 99 შენიშვნა, აქედან გათვალისწინებულია - 93 შენიშვნა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები პარლამენტის წევრთა საქმიანობის შესახებ

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, როგორ აფასებენ საქართველოს მოქალაქეები პარლამენტის წევრთა საქმიანობას. კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა პირებმა დაასახელეს პარლამენტის წევრები, რომელთა მუშაობასაც ყველაზე დადებითად და უარყოფითად აფასებდნენ.


დიაგრამა 20. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები დაკუთხების დადებითად მუშაობის შეფასებასთან დაკავშირებით

გთხოვთ, დაასახელოთ პარლამენტის ერთი დეპუტატი,
ვის მუშაობასაც ყველაზე დადებითად აფასებთ (%)



ღიაზნაა 21. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები დაკუთხების უაწყობითად მუშაობის შეფასებასთან დაკავშირებით

გთხოვთ, დაასახელოთ საქართველოს პარლამენტის ერთი დეპუტატი, ვის მუშაობასაც ყველაზე უარყოფითად აფასებთ (%)



12.5 პარლამენტის წევრთა მივლინებები

პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრება საპარლამენტო დელეგაციების (მათ შორის, მონვეული ექსპერტების და მრჩეველების), პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეების მივლინებები. საპარლამენტო დელეგაციისა და პარლამენტის წევრის მივლინების საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს (სამივლინებო განაცხადის ვიზირებით) პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის პირველი მოადგილე ან მოადგილე, რომელიც დროებით ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას.

პარლამენტის წევრები და აპარატის საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან, როგორც წესი, მივლინებაში გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე შეავსონ სამივლინებო განაცხადი, რომელშიც უნდა მიუთითონ მივლინების მიზანი, საფუძველი, ადგილი, სადღეღამისო მგზავრობის, განთავსებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა სამივლინებო დამატებითი ხარჯები და მათი გამტეხი მხარე.

მივლინებაში იყო პარლამენტის 117 წევრი, განეული ხარჯი შეადგენს 1,720,052 ლარს. წარმოგიდგენთ ინფორმაციას მივლინებების რაოდენობისა და ხარჯის თაობაზე, რომელიც

მოიცავს პარლამენტის მიერ გაწეულ ხარჯს და თანადაფინანსებას. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მივლინებების რაოდენობა და ხანგრძლივობა პარლამენტის წევრის მიერ დაკავებული თანამდებობის ან კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებით არის განპირობებული.

ცხრილი 8. საანგარიშო პერიოდში პარლამენტის წევრთა მივლინებები

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	რაოდენობა	ხარჯი
ქაცარავა სოფიო	უმრავლესობა	31	99058.98
ცქიტიშვილი დიმიტრი	უმრავლესობა	27	63018.4
ხულორდავა თამარ	უმრავლესობა	24	44972.57
ბესელია ეკა	უმრავლესობა	23	60358.56
გოგუაძე ნინო	უმრავლესობა	23	64297.95
ფრუიძე ირინე	უმრავლესობა	23	54333.19
კობახიძე ირაკლი	უმრავლესობა	20	69640.71
ჩუგოშვილი თამარი	უმრავლესობა	20	89848.76
ბერაია ირაკლი	უმრავლესობა	19	62863.32
კანდელაკი გიორგი	უმცირესობა	19	55009.34
კუჭავა კახაბერ	უმრავლესობა	18	33319.07
წერეთელი გიორგი	უმცირესობა	17	53459.22
ბაქრაძე დავით	უმცირესობა	15	70467.37
სესიაშვილი ირაკლი	უმრავლესობა	14	44001.54
კაპანაძე სერგი	უმცირესობა	12	30579.86
ოდიშარია ბექა	უმრავლესობა	12	35668.44
ბოკუჩავა თინათინ	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	11	7175.53
ზოიძე აკაკი	უმრავლესობა	11	12625

კილაძე სოფიო	უმრავლესობა	11	33881.15
კვაჭანტირაძე ზვიადი	უმრავლესობა	10	27469.15
მოსიძე გიორგი	უმრავლესობა	10	29351.82
სამადაშვილი სალომე	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	10	14622.36
წილოსანი ნინო	უმრავლესობა	10	15829.75
დანელია ოთარი	უმრავლესობა	9	9083.26
თალაკვაძე არჩილ	უმრავლესობა	9	18516.69
მადრაძე გუგული	უმრავლესობა	9	14570.71
ჯაში მარიამ	უმრავლესობა	9	24611.61
კახიანი გიორგი	უმრავლესობა	8	13031.54
კოვზანაძე ირაკლი	უმრავლესობა	8	7753.29
ნაცვლიშვილი ბექა	უმრავლესობა	8	18316.12
ჭიაბერაშვილი ზურაბი	უმცირესობა	8	8732.87
ზარდიაშვილი ვანო	უმრავლესობა	7	14924.28
იონათამიშვილი რატი	უმრავლესობა	7	15803.45
კობერიძე ლევანი	უმრავლესობა	7	11213.3
მდინარაძე მამუკა	უმრავლესობა	7	17385.65
მეზურნიშვილი ირაკლი	უმრავლესობა	7	26070.21
სონღულაშვილი დავით	უმრავლესობა	7	13152.93
ანრი ოხანაშვილი	უმრავლესობა	6	15095.08
ბოკერია გიორგი	უმცირესობა	6	9040.59

გოგიჩაიშვილი ლევანი	უმრავლესობა	6	11922.33
ვოლსკი გიორგი	უმრავლესობა	6	8660.05
ზურაბიანი ცოტნე	უმრავლესობა	6	9708.89
სამხარაული გელა	უმრავლესობა	6	16674.99
ხატიძე გიორგი	უმრავლესობა	6	9130.72
ბეგაძე გიორგი	უმრავლესობა	5	3016.95
მათიკაშვილი დავითი	უმრავლესობა	5	13135.5
ფოფხაძე გედევან	უმრავლესობა	5	3684
ქვარაია მერაბი	უმრავლესობა	5	12745.63
ქუცნაშვილი ზაქარია	უმრავლესობა	5	8431.73
აბესაძე ირაკლი	უმცირესობა	4	3,468.73
გაბუნია ზაზა	უმრავლესობა	4	10369.91
კახიძე ოთარი	უმცირესობა	4	7313.71
მარშანია ადა	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	4	6008.86
მაჭავარიანი ენძელა	უმრავლესობა	4	10742.9
ყაველაშვილი მიხეილ	უმრავლესობა	4	9837.82
ძიძიგური ზვიად	უმრავლესობა	4	10260.74
ხუციშვილი ზაზა	უმრავლესობა	4	14786.07
გულორდავა გოგა	უმრავლესობა	3	8499.22
დამენია ლაშა	უმცირესობა	3	6521.73
დასენი ისკო	უმრავლესობა	3	5778.32

კობალაძე კობა	უმრავლესობა	3	9443.68
მაჭარაშვილი გურამი	უმრავლესობა	3	13907.88
ნიკოლაიშვილი რამაზი	უმცირესობა	3	4667.97
პოლოსინი რუსლან	უმრავლესობა	3	6300.24
ტულუში გიორგი	უმცირესობა	3	3127.92
ქანთარია ალექსანდრე	უმრავლესობა	3	12727.99
ჩიქოვანი მამუკა	უმცირესობა	3	3484.32
აბუსერიძე ირაკლი	უმრავლესობა	2	2631.86
ბენაშვილი გია	უმრავლესობა	2	1848.18
გაჩეჩილაძე გიორგი	უმრავლესობა	2	1926.3
ენუქიძე გოჩა	უმრავლესობა	2	9180.28
ზურაბიშვილი სალომე	დამოუკიდებელი წევრი	2	3071.45
თოთლაძე გიორგი	უმრავლესობა	2	7464.51
მარგველაშვილი გენადი	უმრავლესობა	2	5768.34
მელია ნიკონორ	უმცირესობა	2	3084.59
მიქაძე გელა	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	2	6070.5
ოქრიაშვილი კახაბერ	უმრავლესობა	2	1438.19
სულეიმანოვი აზერი	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	2	818.34
ქებურია ლელა	უმცირესობა	2	1286.82
შიოლაშვილი ირაკლი	უმრავლესობა	2	4799.01

ჩხეიძე ნატო	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	2	2091.68
ჭიჭინაძე დავითი	უმრავლესობა	2	5195.29
ხალვაში ფატი	უმრავლესობა	2	7036.3
ბეჟანიძე ლევანი	უმრავლესობა	1	2117.32
ბერაია დამი	უმრავლესობა	1	1311.31
ბობოხიძე აკაკი	უმცირესობა	1	180
გეგიძე ბიძინა	უმრავლესობა	1	2240.71
გოგორიშვილი ხათუნა	უმცირესობა	1	349.45
გოცირიძე რომანი	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	1	637.45
გუნავა თენგიზი	უმცირესობა	1	2286.86
ვახტანგაძე მუხრანი	უმრავლესობა	1	2286.86
თოლორაია ედიშერ	უმრავლესობა	1	5717.5
კაკულია რომანი	უმრავლესობა	1	4303.07
კედელაშვილი ზაზა	უმცირესობა	1	1312.03
კობიაშვილი ლევანი	უმრავლესობა	1	2115.11
კოპაძე გიორგი	უმრავლესობა	1	3372.86
კუბდა სვეტლანა	უმრავლესობა	1	3294.85
ლურსმანაშვილი კობა	უმრავლესობა	1	3372.86
მეშველიანი გოგი	უმრავლესობა	1	3650.29
მირზოევი სავალანი	უმრავლესობა	1	273.33

მიქელაძე გრიგოლ	უმრავლესობა	1	4108.46
მკოიან ენზელ	უმრავლესობა	1	4449.81
მხეიძე დიმიტრი	უმრავლესობა	1	7733.49
მხეიძე პაატა	უმრავლესობა	1	3372.86
ნადირაშვილი ირმა	უმცირესობა	1	4076.37
ნარჩემაშვილი კობა	უმრავლესობა	1	2286.86
ნოზაძე სიმონი	უმრავლესობა	1	782.52
პაპუაშვილი ზაზა	უმრავლესობა	1	4281.83
რატინი სერგო	უმცირესობა	1	1986.51
ჩრდილელი ოთარი	უმრავლესობა	1	744.92
წულაია ივლიანე	უმრავლესობა	1	4108.46
ჭკუასელი თეიმურაზ	უმრავლესობა	1	8240.57
ხაბარელი შოთა	უმრავლესობა	1	5177.65
ხაბაძე არჩილი	უმრავლესობა	1	2286.86
ხოშტარია ელენე	უმცირესობა	1	2,500,20
ლილუაშვილი გრიგოლი	უმრავლესობა	1	3098.6
კობახიძე მანანა	უმრავლესობა	2	7270.48

პარლამენტის წევრების მონაწილეობა პენალურ სდომებსა და კომიტეტების მუშაობაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი

პარლამენტის წევრების სდომებში მონაწილეობის საკითხი, ისევე როგორც წინა მოწვევის დროს, კვლავაც პრობლემური საკითხს წარმოადგენს მე-9 მოწვევის პირობებშიც. სდომებზე დასწრებასთან ერთად პრობლემურია სდომების დაწყება შეთანხმებულ დროზე.⁹⁴ გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც დეპუტატები გადიან რეგისტრაციას, თუმცა შემდეგ განხილვებს არ ესწრებიან. ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ და აღნიშნა, რომ რეგისტრაციის გავლის მიუხედავად, თუკი დეპუტატი არ იქნებოდა დარბაზში მას რეგისტრაციის ფაქტი არ ჩაეთვლებოდა სდომაზე დასწრებად. განცხადების მიზეზი გახდა ის, რომ პლენარულ სდომაზე 76 დეპუტატი დარბაზში ფიზიკურად არ ესწრებოდა სდომას.⁹⁵

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტში პლენარული სდომების საპატიო მიზეზით გაცდენის **2119** შემთხვევა დაფიქსირდა.
- არასაპატიო მიზეზით ერთზე მეტი სდომის გაცდენისათვის დეპუტატებისთვის ხელფასის 10 %-ის დაკავება არ მომხდარა.
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის წევრებს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაკისრებიდა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ პარლამენტიდან გამოითხოვა და გაანალიზა ინფორმაცია პლენარულ და კომიტეტის სდომებში პარლამენტის წევრთა მონაწილეობის შესახებ.

13.1 პენალური და კომიტეტების სდომების საპატიო მიზეზებით გახდენა


მე-8 მოწვევის პარლამენტში საპატიო მიზეზით პლენარული სდომის 5913 შემთხვევიდან ოჯახური მდგომარეობის გამო იყო - 4100 შემთხვევა, ხოლო მე-9 მოწვევის პარლამენტის პირველივე წელს პლენარული სდომების საპატიო მიზეზით გაცდენის 2119 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან ოჯახური მდგომარეობის მითითებით იყო 1430 შემთხვევა, რაც საპატიო მიზეზით გაცდენილი შემთხვევების 68% უდრის.

94 სდომების დაგვიანებებთან დაკავშირებით მედიაში გაუღერებული ინფორმაციები:

<https://goo.gl/39Fsf3> <https://goo.gl/pVL7BE> <https://goo.gl/pHkXa6>


95 საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ პლენარულ სდომებზე დეპუტატთა დასწრების საკითხთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, საქართველოს პარლამენტი, 20 სექტემბერი 2017, <https://goo.gl/M2KPNX>

დიაგრამა 22. საკუთარ მიზანით გახდანილი ჟამთხვევების რაოდენობა



1. პლენარული სხდომების საპატიო გაცდენები (30 და მეტი გაცდენა)


დიაგრამა 23. პლენარული სხდომების საპატიო მიზანით გაცდენის რაოდენობა (30 და მეტი გაცდენა)



2. კომიტეტის სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის რაოდენობა (30 და მეტი გაცდენა)

საანგარიშო პერიოდში წინა მოწვევის მსგავსად (172 გაცდენა) ყველაზე მეტი გაცდენა საპატიო მიზეზით კვლავ კობა ნაყოფიას ფრაქციას („ნაციონალური მოძრაობა“) აქვს.

დიაგრამა 24. კომიტეტის სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის რაოდენობა (30 და მეტი გაცდენა)



13.2 პლენარული და კომიტეტის სხდომების არასაკმარისო მიზეზით გახდენა

საანგარიშო პერიოდში პლენარული სხდომების არასაკმარისო მიზეზით ყველაზე მეტი გაცდენა აქვთ:

- შოთა შალელაშვილი (უმრავლესობა) - 14 გაცდენა
- დავით ჭიჭინაძე (უმრავლესობა) - 10 გაცდენა
- რამაზ ნიკოლაიშვილი (უმცირესობა) - 9 გაცდენა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სხდომების არასაკმარისო მიზეზით ყველაზე მეტი გაცდენა აქვთ:


- გიორგი ტულუში (უმცირესობა) - 18 გაცდენა
- სალომე ზურაბიშვილი (დამოუკიდებელი წევრი) - 9 გაცდენა
- სერგი კაპანაძე (უმცირესობა) - 9 გაცდენა

დიაგრამა 25. პლენარული სხდომების არასაკმარისო მიზეზით გახდენა (პირველი 15 წევრი)


უმრავლესობა

უმცირესობა

დამოუკიდებელი პარლამენტის წევრი



ღიაზი 26. პოლიტიკის სფეროების ანგარიშით მიზნით გაყვანა




13.3 დისციპლინური პასუხისმგებლობა

პარლამენტში ადგილი ქონდა ხმაურიან დაპირისპირებას და ინციდენტს დეპუტატებსა და მთავრობის წარმომადგენლებს შორის. კერძოდ, 2017 წლის 20 დეკემბერს საზოგადოება დაპირისპირების მოწმე გახდა, რა დროსაც პოლიტიკოსების მხრიდან ემოციურ და არაეთიკურ გამოხატუვებებს ქონდა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირების ინციდენტები და ურთიერთშეურაცხყოფები ხშირად ხდება საკანონმდებლო ორგანოში, 20 დეკემბრის სხდომა განსაკუთრებულად არაეთიკური იყო და აგრესიულობითაც გამოირჩეოდა.

მიუხედავად არაერთი შემთხვევისა, ასეთ ფაქტებზე არ ხდება რეაგირება და პარლამენტს ამ დრომდე არ აქვს მიღებული ეთიკის კოდექსი⁹⁶ რომელიც ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებასაც წარმოადგენს⁹⁷.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ დაინტერესდა საზოგადოების აზრით, საჭიროა თუ არა პარლამენტმა მიიღოს დოკუმენტი, რომლითაც პარლამენტის წევრი პასუხს აგებს არაერთიკური ქცევისათვის და რა სახის სანქცია უნდა დაეკისროს მას სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის. წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს:


დიაგრამა 27. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები პარლამენტის წევრის არაეთიკური ქცევისათვის დაკავშირებით



96 2017 წლის 14 დეკემბერს დარეგისტრირდა ეთიკის კოდექსისა და რეგლამენტში ცვლილებების პროექტი, რომელიც მოგვიანებით 2018 წლის აპრილში პირველ მოსმენაზევე არ იქნა მხარდაჭერილი დეპუტატების მხრიდან <https://goo.gl/e1oMiW> ასევე იხ.

97 ვრცლად იხ. საქართველოს პარლამენტის ეთიკის კოდექსის მიღება უახლოეს პერიოდში უნდა მოხდეს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 21 დეკემბერი, 2017, <https://goo.gl/jfpvL8>

დიაგრამა 28. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები პარლამენტის წევრის მხრიდან სიყვრივეთა შეუჩინარებლობის საწყისი დაკისრებასთან დაკავშირებით



პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შეფასება

კომიტეტების საქმიანობის შეფასებისას მნიშვნელოვანია შეფასდეს რამდენიმე მიმართულება, კერძოდ:


- კომიტეტების საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა (ინიცირებული და განხილული კანონპროექტების, ჩატარებული სხდომების რაოდენობა; კანონპროექტებზე დაფიქსირებული შენიშვნები);
- კომიტეტების მიერ საკანონმდებლო წინადადებების განხილვა;
- მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება;
- ექსპერტებთან ურთიერთობა;
- კომიტეტების მიერ სამუშაო ჯგუფების შექმნა
- კომიტეტის საქმიანობისა და მიმართულებების დაგეგმვა

14.1 კომიტეტების მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში


წარმოგიდგენთ ინფორმაციას⁹⁸ კომიტეტების მიერ ჩატარებული სხდომების, განხილული კანონპროექტებისა და ინიციატივების რაოდენობის შესახებ.

98 მონაცემები ეფუძნება პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ზოგიერთ შემთხვევაში კომიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია და საორგანიზაციო დეპარტამენტის/პარლამენტის ვებ გვერდზე არსებული ინფორმაცია არ ემთხვევა ერთმანეთს.


ღიაზი 29. ჩატარებული კომიტეტის სხდომები



ღიაზი 30. განხილული კანონპროექტების რაოდენობა



დიაგრამა 31. ინიციატივების კანონპროექტების რაოდენობა




14.2 საკანონმდებლო წინადადებების განხილვა

მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს საკანონმდებლო წინადადებების წარდგენის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში პარლამენტში სულ წარდგენილ იქნა 91 საკანონმდებლო წინადადება, აქედან უმეტესობის ავტორი (54 შემთხვევაში) იყო იურიდიული პირი.

ღიაზი 32. საკანონმდებლო წინადადების განხილვის შესახებ ინფორმაცია

საკანონმდებლო წინადადებების განხილვა



პარლამენტის კომიტეტების მიერ დადებითად შეფასებული საკანონმდებლო წინადადებები:

- კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის [საკანონმდებლო წინადადება](#) მაუწყებლობის შესახებ კანონში და თანმდევ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა მედია წიგნიერების ხელშეწყობას.
- სახალხო დამცველის [საკანონმდებლო წინადადება](#) სახელმწიფო პენსიის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული პროპაგანდითი ანაზღაურებადი საქმიანობა არ უნდა იყოს საფუძველი სახელმწიფო პენსიის შეწყვეტისათვის.
- „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ [საკანონმდებლო წინადადება](#) მაუწყებლობის შესახებ და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც გულისხმობდა პრორუსული ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის აკრძალვას.
- მოქალაქე ზურაბ ვანიშვილის [საკანონმდებლო წინადადება](#) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შესახებ, რომლითაც კოდექსიდან ტერმინის „ამხანაგური სასამართლოს“ ამოღებას.

4 დადებითი დასკვნიდან საკანონმდებლო ინიციატივა წარდგენილია 2 შემთხვევაში - კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადებების საფუძველზე.

14.3 მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება

კომიტეტებს მოქალაქეები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მიმართავენ. მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად ყველა მიმართვაზე ხდებოდა სხვადასხვა ფორმით რეაგირება, რაც მათ შორის გულისხმობდა:

- შესაბამის უწყებებთან მიმართვის გადაგზავნას
- პასუხის გაცემას (წერილობითი და ზეპირი განმარტება)

ცხრილი 9. კომიტეტების მიერ მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება

კომიტეტები	მოქალაქეთა მიმართვების რაოდენობა	სტატუსი
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი	4255	2284 განცხადება გადაეგზავნა უწყებებს შესაბამისი რეაგირებისთვის, ხოლო დარჩენილი ნაწილი ჩამოიწერა სხვადასხვა მიზეზით.*
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი**	2889	უწყებებში გაიგზავნა -847; განმცხადებელს გაეგზავნა - 796 წერილი; ზეპირი პასუხი გაეცა - 860 მოქალაქეს; განმეორებითი განცხადებები (რეაგირებული) - 134; მიღებულია ცნობად - 141 111 - განცხადებაზე მიმდინარეობს წარმოება.
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი	975	რეაგირებულია 278, რეაგირებას არ საჭიროებდა 2; განხილვის პროცესშია 55.
განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი	392	ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა არაა მითითებული.
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი	321	ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა არაა მითითებული.

* კომიტეტი უთითებს შემდეგ მიზეზებს: განმეორებით იქნება შეტანილი რომელზე პასუხის გაცემის ან რომლის უფლებამოსილ ორგანოში გადაგზავნის შემდეგ არ შეცვლილა ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა; განცხადება არ მოითხოვდა წერილობით პასუხს ან მასზე რეაგირება წერილობით არ ხდება; დოკუმენტი ინფორმაციული ხასიათის იყო და არ მოითხოვდა რაიმე ქმედების განხორციელებას; განცხადება შესული იყო რამდენიმე ეგზემპლარად სხვადასხვა ადრესატის სახელზე, რომლებიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა კომიტეტში, თუმცა უკვე რეაგირებული იყო კომიტეტის მიერ.

**პერიოდი: 2016 წლის დეკემბრიდან 2017 წლის ნოემბერი, წყარო: იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში, <https://goo.gl/ncVxmc>

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტი	230	ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა არაა მითითებული.
რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი	135	135 შემთხვევაზე მოხდა რეაგირება, 54 გადაგზავნა უწყებას/გაეცა პასუხი, 5 ცნობად იქნა მიღებული, 5 ჩამოინერა
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი	115	რეაგირებისთვის გადაეცა უწყებებს.
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი	94	79 განცხადებაზე მოხდა წერილობითი რეაგირება, 15 განცხადებიდან ნაწილზე მოხდა ზეპირი განმარტება, ნაწილი ინფორმაციული ხასიათის იყო. 40 შემთხვევაზე მოხდა რეაგირება, თუმცა ფორმას არ უთითებს.
დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი	86	ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა არაა მითითებული.
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	187	ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა არაა მითითებული.
აგრარულ საკითხთა კომიტეტი	62	განხილულია და რეაგირებისთვის გადაეცა უწყებებს.
საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	70	39 გაეცა პასუხი, 9 დაარქივდა მსგავსი და განმეორებითი შინაარსის (პასუხგაცემული) გამო; 22 განცხადება იყო იდენტური, ხოლო ნაწილი განცხადებებისა ცნობად იქნა მიღებული.
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი	142	გადაგზავნილია უწყებებში 117, 25 ცნობად იქნა მიღებული
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი	29	ყველა მათგანზე მოხდა რეაგირება. რეაგირების ფორმა არაა მითითებული.

14.4 სამუშაო ჯგუფები

კომიტეტის ერთ-ერთ უფლებამოსილებას წარმოადგენს სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომელიც ემსახურება პარლამენტისა და მისი კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს, საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებასა და სხვა მიმდინარე საკითხებზე მუშაობას.

საანგარიშო პერიოდში 7 კომიტეტში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მუშაობა 24 სამუშაო ჯგუფის ფორმატში, კერძოდ:

1. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

კომიტეტთან მუშაობას აგრძელებდა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის პროექტის შესახებ შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი

კომიტეტში შეიქმნა სამხედრო სავალდებულო სამსახურის რეფორმირებასთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი.

3. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტთან შეიქმნა 8 სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა და პარლამენტმა მიიღო შემდეგი კანონები: სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ და მისგან გამომდინარე 17 კანონის პროექტი; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებები (ხმაურის რეგულირება); მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებები; საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებები. ასევე მომზადდა კანონპროექტები: ადვოკატთა შესახებ კანონში ცვლილებებთან, მართხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, ასევე ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ზოგიერთი ვალდებულებების შესრულების თაობაზე პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების პროექტი.

პრობლემური იყო „მაუწყებლის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის საქმიანობა, კერძოდ ჯგუფის შექმნიდან - 2017 წლის 21 იანვრიდან 5 თვის მანძილზე სამუშაო ჯგუფის არცერთ წევრს არასამთავრობო სექტორიდან არ მიუღია ინფორმაცია შეხვედრების ჩატარების შესახებ, შესაბამისად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავებაში მონაწილეობა ფაქტობრივად არ მიუღიათ.

პარლამენტში სამუშაო ჯგუფის შექმნიდან 6 თვის შემდეგ, 17 ივნისს, შაბათ დღეს, პარლამენტში ჩაინიშნა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც სამუშაო ჯგუფს წარედგინა უკვე შემუშავებული კანონპროექტი.⁹⁹

4. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

კომიტეტთან რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად შექმნილია სამუშაო ჯგუფი „ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული მმართველობის 2017-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშეწყობის ჯგუფი“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს მუშაობა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებზე.

5. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

კომიტეტში შეიქმნა ორი ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავებისა

⁹⁹ ვრცლად იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, რა იცვლება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში და როგორ წარიმართა ცვლილებების ინიცირებისა და განხილვის პროცესი, 10 ივლისი, 2017.

<https://goo.gl/7aCFpw>

და სახელმწიფო სატყეო ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ კანონის პროექტზე და ასევე მტაცებელი ცხოველებთან დაკავშირებულ ცვლილებებზე.

6. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

სამუშაო ჯგუფები შეიქმნა საკითხებზე: ბავშვთა კოდექსზე, სოციალური მუშაკის ინსტიტუციონალური რეფორმის, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის პროექტის, ჯარში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ რეგულაციებზე.

7. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების ფარგლებში შემუშავდა და მიმდინარეობს მუშაობა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებულ რეგულაციებზე: თამბაქოს საკანონმდებლო პაკეტზე, შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ; შრომის კოდექსზე; სასწავლო და კვლევის მიზნით გვამების და გვამური მასალების გამოყენების საკითხებზე და ნარკოპოლიტიკის საკითხებზე.

14.5 კომიტეტების ურთიერთობა შესაბამისად

საკანონმდებლო საქმიანობის პროცესი ითვალისწინებს განსახილველ ან სამომავლოდ დაგეგმილ საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობის შესაძლებლობას, შესაბამისი შეფასებების მიღების მიზნით. გარდა საექსპერტო დასკვნების მიღებისა, კომიტეტს შეუძლია შექმნას სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო და ამ ფორმატში გააგრძელოს პრაქტიკაში არსებულ პრობლემებსა თუ ცვლილებებზე მუშაობა.

რეგლამენტის შესაბამისად კომიტეტებს აქვთ შესაძლებლობა კანონპროექტებზე დასკვნებისა და რეკომენდაციების მისაღებად მიმართონ ექსპერტებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

კომიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან ზოგიერთ შემთხვევაში არ ჩანს, კომიტეტებმა თავად მიმართეს ექსპერტებს თუ ექსპერტებმა საკუთარი ინიციატივით მიანოდეს მათ დასკვნა/რეკომენდაცია. აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენებაზე უთითებს 8 კომიტეტი. ექსპერტებისათვის მიმართვა მოხდა როგორც მიმდინარე კანონპროექტებთან დაკავშირებით, ისე სამუშაო ჯგუფის მუშაობის ფორმატში.

- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა აღნიშნა, რომ 3 საკანონმდებლო პაკეტზე¹⁰⁰ და ერთ საკანონმდებლო წინადადებაზე მიმართა ექსპერტებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს დასკვნისათვის.
- იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 5 კანონპროექტთან დაკავშირებით მიმართა ექსპერტს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.
- თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი უთითებს, რომ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით საექსპერტო დასკვნისთვის მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე კომიტეტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში იღებდნენ მოსაზრებებს კანონპროექტებთან დაკავშირებით.
- ექსპერტების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების რეკომენდაციები და დასკვნები მიიღო ასევე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტებმა.

100 თამბაქოს შესახებ კანონმდებლობის, შვილად აყვანისა და ნარკოპოლიტიკის რეგულირების შემუშავების პროცესში

14.6. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები

კანონმდებლობის შესაბამისად, კომიტეტთან შესაძლებელია შეიქმნას სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც გულისხმობს შესაბამისი დარგის კონსულტანტების ჩართვას. საბჭოს შემადგენლობას ნიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე.

კომიტეტებიდან მიღებულ ინფორმაციის, ასევე პარლამენტის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საბჭოების შემადგენლობა და განხორციელებული საქმიანობა არ არის გამჭვირვალე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები შექმნილია 7 კომიტეტთან:

1. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

2017 წლის მარტში კომიტეტმა შექმნა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სამინისტროებისა და უწყებების, თვითმმართველი ერთეულების ასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შესაბამისი სფეროს მეცნიერ-მკვლევარები და ექსპერტები.

2. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

კომიტეტთან არსებობს 2013 წელს შექმნილი სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო, რომელიც საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად უნდა განახლდეს.

3. ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტი

კომიტეტთან არსებობს მერვე მოწვევის პარლამენტში შემქმნილი 2 საბჭო: ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხებზე მომუშავე საბჭო; მე-9 მოწვევის პარლამენტში 2017 წლის ივნისში ასევე შეიქმნა ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და პრევენციის სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო. საანგარიშო პერიოდში საბჭომ ჩაატარა 1 სხდომა.

4. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი

მეცხრე მოწვევის პარლამენტში სამემოდგომო სესიაზე კომიტეტმა მხარი დაუჭირა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნას.

5. სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტი

კომიტეტმა 2016 წლის დეკემბერში შექმნა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო. საანგარიშო პერიოდში კომიტეტი უთითებს კონსულტაციების პროცესზე საბჭოს შემადგენლობასთან დაკავშირებით.

6. დიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტი

2017 წლის მარტში კომიტეტმა შექმნა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელმაც საანგარიშო პერიოდში 2 სხდომა ჩაატარა.

7. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

მერვე მოწვევის პარლამენტში შეიქმნა 2 საბჭო: ინოვაციების საბჭო; სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო, მეცხრე მოწვევის პარლამენტში სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო არ შექმნილა.


იურიდიულ საკითხთა კომიტეტი უთითებს, რომ საანგარიშო პერიოდში დაიწყო მუშაობა ახალი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფორმირებაზე.

14.7 იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოში

პარლამენტის საქმიანობის შეფასებისას ასევე უნდა შევხებით საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობის საკითხს. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმეებზე 144-ჯერ განხორციელდა წარმომადგენლობა.

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო სხვადასხვა საკითხზე.

დიაგრამა 33. ინფორმაცია საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლობასთან დაკავშირებით



საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო პირადი ხასიათის ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირების და შენახვის წესები. აღნიშნულ საქმეზე ერთ-ერთ მოსარჩელე იყო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. სადავოდ იყო გამხდარი საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე უფლებამოსილ ორგანოს (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს) ანიჭებდა უფლებამოსილებას, ჰქონოდა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების და ამ მიზნით სათანადო აპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განთავსების შესაძლებლობა. ამავე დროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით, განეხორციელებინა კავშირგაბმულობის არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი 2 წლის ვადით შენახვა¹⁰¹.

მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილება **მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით**, რაზეც სასამართლომ **განმარტა**, რომ „პირის უფლება თავად შეარჩიოს განტვირთვის მისთვის სასურველი სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს. ამასთან, ვინაიდან მარიხუანის მოხმარებით ადამიანის ჯანმრთელობას შეიძლება მიადგეს გარკვეული ზიანი, სასამართლომ აღნიშნული

101 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, <https://goo.gl/vPG3mS>

უფლების შეზღუდვა დასაშვებად მიიჩნია ისეთი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, როგორებიცაა მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა და სხვა.”¹⁰² ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, გაუქმდა მარიხუანას მოხმარებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

მნიშვნელოვანი იყო ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება **კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტთან** დაკავშირებით, სადაც სასამართლომ შეაფასა სადავო ნორმების მხოლოდ იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც კეთილსინდისიერ შემძენს იცავს საბაზრო გარიგებების დადებისას, ანუ ისეთი ტრანზაქციებისას, რომელიც დადებულია ბაზრის ორ დამოუკიდებელ მონაწილეს შორის და რომლის ფარგლებშიც ორივე მხარე მოქმედებს სარგებლის მიღების მიზნით. სასამართლომ განმარტა რომ „კანონმდებელი უფლებამოსილია შექმნას ქონების ყიდვა-გაყიდვის ისეთი სისტემა, რომლის ფარგლებშიც შემძენი არ არის ვალდებული, საკუთარი ინიციატივით, გადაამონმოს საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორე. მეორეს მხრივ, სასამართლომ მიუთითა, რომ რეგულირება არ უნდა უწყობდეს ხელს შემძენის მხრიდან საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას”¹⁰³. გადაწყვეტილებით კეთილსინდისიერი მესაკუთრე აღარ ჩაითვლება ასეთად, თუ რეესტრის ჩანაწერის წინააღმდეგ შეტანილია საჩივარი და ეს მისთვისაც ცნობილია.

14.8 ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობა ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებზე

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირსა და ევროპულ ინსტიტუტებში, ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის დროულ და ეფექტიან განხორციელებას, ქვეყნის ევროინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის შემდგომ კონსოლიდაციას.

ევროინტეგრაციის მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად კვლევის ფარგლებში დავინტერესდით ამ მიმართულებით კომიტეტის საქმიანობით.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა შეაფასა 42 ნორმატიული აქტის შესაბამისობა ასოცირების შეთანხმებასთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან. კომიტეტმა საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში მოისმინა ანგარიშები განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით, კერძოდ ასოცირების დღის წესრიგის შესრულების ანგარიში პროფესიული კავშირების უფლებებისა და ძირითადი პრობლემით სტანდარტების, თანასწორი მოპყრობის და ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროებში. ასევე „საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში და 2017 წლის სამოქმედო გეგმა.

102 ვრცლად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბერის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <https://goo.gl/59o4fM>

103 ვრცლად იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, <https://goo.gl/q2dFPh>.

მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა

პარლამენტის საქმიანობის შეფასების პროცესში დავინტერესდით ასევე მაჟორიტარი წევრების ბიუროების საქმიანობით, რომელთან დაკავშირებითაც მეცხრე მოწვევის პარლამენტში გარკვეული სახის ცვლილებები განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებ გვერდზე არის განთავსებული ბიუროების საკონტაქტო მონაცემები, დეპუტატთან დაკავშირებულ ინფორმაციაში კვლავ პრობლემურად რჩება ბიუროს წარმომადგენლებთან დაკავშირება, ისევე როგორც ეს იყო VIII მოწვევის პარლამენტში. ამასთან ერთად პრობლემურია გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ვადაში მიღება. კვლავ არ ფუნქციონირებს [მაჟორიტარების ვებ გვერდი](#).

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებს რამდენიმე შეკითხვით მიმართა. შეკითხვები ეხებოდა ბიუროების საქმიანობას და მოქალაქეებთან კომუნიკაციას. გაგზავნილ შეკითხვებს პასუხი გასცა **61** ბიურომ, უმეტეს შემთხვევაში დაგვიანებით.

15.1 მოქალაქეთა მიმართვა

ბიუროებიდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია მოქალაქეთა მიმართვების მაჩვენებელთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისი წესით იყო აღრიცხული, თუმცა მიღებული ინფორმაციის გადამოწმების საშუალება არ არსებობს.

ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე წერილობითი მიმართვების რეგისტრირებული მაჩვენებლები (პირველი ხუთეული):

1. გიორგი მოსიძე - 816
2. კობა კობალაძე - 792
3. მარიამ ჯაში - 720
4. ბექა ოდიშარია - 653
5. თენგიზ ხუბულური - 626

მიღებული ინფორმაციის მიხედვით ზეპირი მიმართვების აღრიცხული მაჩვენებლები (პირველი ხუთეული):

1. ბექა ნაცვლიშვილი - 3200
2. კობა კობალაძე - 2905
3. ნინო წილოსანი - 2150
4. თენგიზ ხუბულური - 2071
5. შოთა ხაბარელი - 1948

15.2 აპოზიციური პრობლემები და კვლევის შედეგები

მაჟორიტარი პარლამენტის წევრის საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ სწორად იქნეს დანახული, რა პრობლემები და საჭიროებები აქვს ამომრჩეველს. შესაბამისად, მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების ეფექტიანი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი. ამ მიზნით შესაძლებელია ჩატარდეს მოსახლეობის (გარკვეული ჯგუფის) გამოკითხვა, ასევე მოქალაქეთა განცხადებების, საჯარო შეხვედრების შედეგების შესწავლა, რის საფუძველზეც მოხდება არსებული პრობლემების იდენტიფიცირება.

მოსახლეობის პრობლემებზე ინფორმაციის ფლობა აუცილებელი კომპონენტია მაჟორიტარი პარლამენტის წევრის მიერ უფლებამოსილების შედეგიანად განსახორციელებლად. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გარკვეული სახით პრობლემების იდენტიფიცირება განხორციელდა 60 ბიუროს შემთხვევაში.

იდენტიფიცირებული პრობლემებია:

- უმუშევრობა
- კომუნალური და ინფრასტრუქტურული საკითხები (წყალი, გაზი, ელექტროენერგია, გზები)
- სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანი და ავარიული სახლები
- საკუთრების დაკანონებასთან დაკავშირებული პრობლემები
- სამედიცინო საჭიროებები
- დევნილთა განსახლება

15.3 საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან

ისევე როგორც წინა მოწვევის მაჟორიტარი ბიუროების საქმიანობისას, საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით წარმოდგენილია ინფორმაცია ასახავს, ერთის მხრივ დეპუტატის მიერ მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრებს, ხოლო მეორე მხრივ ბიუროს წარმომადგენლების შეხვედრებს.

მიღებული ინფორმაციიდან უმეტეს შემთხვევაში რთული გასამიჯნია/შეუძლებელია უშუალოდ დეპუტატის მიერ ჩატარებული საჯარო შეხვედრების რაოდენობის იდენტიფიცირება.

15.4 ბიუროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობა

მაჟორიტარი წევრის ბიუროების საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვანია მათი თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რადგან როგორც პრაქტიკა აჩვენებს მიმართვა ხდება თვითმმართველობის კომპეტენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ბიურო ახდენს მოქალაქეთა მიმართვის გადამისამართებას.

მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრები თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობისას პრობლემებზე არ უთითებენ.

15.5 მოსახლეობის ინფორმირება

მნიშვნელოვანია მოსახლეობის სისტემატურად ინფორმირება დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებით, ამ მხრივ მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, დეპუტატები უპირატესობას სოციალურ ქსელს ანიჭებენ. ასევე პრაქტიკაში ცალკეულ შემთხვევაში დაიგეგმა მაჟორიტარი წევრის წლიური ანგარიშის წარდგენა.

სრულად ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 2.

კავშირები ბიზნესთან და არადევლარირებული ქონების შესახებ

პარლამენტის საქმიანობის შეფასების ანგარიშებში ყოველწლიურად წარმოვადგენთ ინფორმაციას დეპუტატების ბიზნესთან კავშირისა და არადევლარირებული ქონების შესახებ.

კანონმდებლობის შესაბამისად, პარლამენტის წევრი ვალდებულია შეავსოს და სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ამასთანავე, პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა. თუმცა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას - დეპუტატი შეიძლება ფლობდეს აქციებს, წილს და სხვა ქონებას.

კანონმდებლობით განსაზღვრულია დეპუტატის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული აკრძალვები, კერძოდ პარლამენტის წევრს უფლება არ აქვს:

- უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად;
- უშუალოდ იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, განახორციელოს სამეწარმეო სუბიექტის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ დეპუტატების და მათი ოჯახის წევრების ბიზნესთან კავშირის და არადევლარირებული ქონების შესახებ ინფორმაცია შეისწავლა და შესაბამისი [კვლევა](#) 2017 წლის 19 სექტემბერს გამოაქვეყნა.¹⁰⁴ კვლევაში აისახა როგორც კანონშესაბამისი წილების საკუთრების შემთხვევები, ასევე ის პრობლემები, რაც საკუთრების დეკლარაციაში არ ასახვას უკავშირდება. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით საჯარო სამსახურის ბიურომ 54 დეპუტატის დეკლარაციის [მონიტორინგი დაიწყო](#)¹⁰⁵.

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში (2016 წლის 18 ნოემბერი-2018 წლის 31 მარტი) შესწავლილი ინფორმაციის შესაბამისად პარლამენტის 60 წევრს აქვს ბიზნესთან კავშირი. წილის მესაკუთრეობა არ არის კანონის დარღვევა, თუმცა დეპუტატმა მისი და ოჯახის წევრის შესახებ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიუთითოს თანამდებობის პირის ქონებრივ დეკლარაციაში.

ვრცლად ინფორმაცია დეპუტატების და მათი ოჯახის წევრებთან დაკავშირებულ კომპანიებზე იხილეთ დანართი 3.

104 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან, შეუთავსებელი საქმიანობა და არადევლარირებული ქონება“, 19 სექტემბერი, 2017, იხ. <https://goo.gl/kEuZQc>

105 საჯარო სამსახურის ბიურო, 2017 წელს განხორციელებული დეკლარაციების მონიტორინგის შედეგების ანგარიში, 29 დეკემბერი, 2017, იხ. <https://goo.gl/LuLxur>

ჩაკონტროლებადი

1. საკანონმდებლო პროცესის დახვეწა

- კომიტეტებისა და მთავრობის მხრიდან სავალდებულო უნდა იყოს კანონმდებლობითი საქმიანობის გეგმების წარმოდგენა. მთავრობის მიერ წარმოდგენილი გეგმის შესრულებაზე კონტროლს პარლამენტი უნდა ახორციელებდეს, ხოლო კომიტეტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკანონმდებლო ინიციატივების წარუდგენლობის შემთხვევაში, კომიტეტმა შესაბამისი განმარტებითი ფაქტორების შესახებ ინფორმაცია უნდა ასახოს კომიტეტის ანგარიშებში.
- უნდა შეიცვალოს დაჩქარებული წესით კანონპროექტების განხილვის მანკიერი პრაქტიკა, ამ წესით განხილვა ობიექტურად და განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა ხდებოდეს
- მნიშვნელოვანია, რომ კანონის ამოქმედების გადავადება არ ხდებოდეს და ინიცირების პროცესში სათანადოდ იყოს ინიციატივა დამუშავებული
- პარლამენტმა უნდა შეცვალოს კანონპროექტების დასაბუთების ის სტანდარტი, რასაც მოქმედი განმარტებითი ბარათის ფორმა გულისხმობს. მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებსა და რეფორმებზე ინიციატივას თან ახლდეს რეგულირების ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი
- საკანონმდებლო პროცესში მნიშვნელოვანია პარლამენტი უფრო აქტიურად ქმნიდეს სამუშაო ჯგუფებს, მათ შორის გაიზარდოს შესაბამისი დარგის ექსპერტების ჩართულობა. სამუშაო ჯგუფის განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისათვის.

2. საპარლამენტო კონტროლი

- პარლამენტის წევრები ხშირად უნდა იყვნენ მთავრობისა და ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლის შესაძლებლობებს.
- მნიშვნელოვანია პარლამენტს ჰქონდეს ბერკეტი რეგულარულად აკონტროლოს სამთავრობო პროგრამის როგორც მთლიანად, ასევე ცალკეული ნაწილების შესრულება.
- საფინანსო-საბიუჯეტო პროცესზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით უნდა გაიზარდოს ოპოზიციის როლი საბიუჯეტო ზედამხედველობის განხორციელების პროცესში. რეგლამენტით განისაზღვროს, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს ოპოზიციის წარმომადგენელი.
- პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული პირები, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ესწრებოდნენ კომიტეტებისა და ფრაქციის სხდომებს.
- პარლამენტის წევრის შეკითხვის შინაარსი საჯარო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებს უნდა ეკავშირდებოდეს
- ბიუჯეტის პროექტის განხილვისას რეგლამენტით დადგინდეს კომიტეტების ვალდებულება განიხილონ ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშები, ასევე მოამზადონ შესაბამისი დასკვნები, რომლებიც წარედგინება პარლამენტის ბიუროს და პლენარულ სხდომას

- საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტის კომიტეტებმა სფეროების შესაბამისად, სისტემატიზირებულად განიხილონ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშები და ეს გახდეს ასევე პლენარულ სხდომაზე განხილვის საგანიც. განხილვასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს მასზე რეაგირების, აღსრულების მექანიზმებიც. აღნიშნული ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს
- მიღებული კანონების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მნიშვნელოვანია კომიტეტი სისტემატურად იღებდეს ინფორმაციას კანონმდებლობის პრაქტიკაში აღსრულებასთან დაკავშირებით; განიხილებოდეს პრობლემური საკითხები; ფასდებოდეს, თუ, რა ფაქტორები განაპირობებს ნორმატიული აქტების არასათანადო აღსრულებას, ამ მიმართულებით პერიოდულად იმართებოდეს მოსმენები, რომლებსაც დაესწრებიან სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელი პირები. ასევე, პერიოდულობით უნდა ქვეყნდებოდეს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესახებ ინფორმაცია.

3. პარლამენტის წევრთა ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობის გაზრდა

- პარლამენტმა უნდა მიიღოს ეთიკის კოდექსი დარღვევებზე რეაგირების ეფექტური მექანიზმებით
- პარლამენტში უნდა ხდებოდეს ეფექტური შიდა კონტროლი დეპუტატების სხდომებში მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით
- უნდა გაუქმდეს ოჯახური მდგომარეობა, როგორც გაცდენის საპატიო მიზეზი
- მიზანშეწონილია, რომ პარლამენტის წევრები უფრო აქტიურად იყენებდნენ პარლამენტის ვებ-გვერდზე მითითებულ ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას
- პარლამენტის წევრებმა სწორად უნდა შეავსონ ქონებრივი დეკლარაციები, ასახონ საკუთარი და ოჯახის წევრების კომპანიებში კუთვნილი წილები და კანონით დადგენილი წესით დატოვონ კომპანიების მმართველი პოზიციები. ამ კუთხით, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა უნდა განახორციელოს ეფექტური კონტროლი.

4. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა და სამოქალაქო ჩართულობა

- პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსდეს ყველა კომიტეტის მიერ განეული საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მომავალი წლის სამოქმედო გეგმა
- პარლამენტის ვებ-გვერდზე საკომიტეტო მოსმენების შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აისახოს ის შენიშვნებიც, რომლებიც არ გაიზიარა კანონის ინიციატორმა ან კომიტეტმა
- განხილვის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული კანონპროექტები და საკომიტეტო მოსმენის ოქმები ოპერატიულად განთავსდეს პარლამენტის ვებ-გვერდზე
- მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებ-გვერდზე მიმდინარეობს კომიტეტების და პლენარული სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია გადახვევის ფუნქციით, განმეორებით ნახვის სურვილის შემთხვევაში ჩანაწერის მოძიება რთული და ზოგჯერ შეუძლებელია, რადგან არ არსებობს არქივი. სასურველია პარლამენტის ვებ-გვერდზე არსებობდეს თემატურად დაყოფილი არქივი

- საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კონტროლის შედეგები და მასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები პერიოდულად უნდა ქვეყნებოდეს პარლამენტის ვებ-გვერდზე, მათ შორის უნდა განთავსდეს სადეპუტატო და საკომიტეტო კითხვებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია პარლამენტის წევრების მიერ პლენარული და კომიტეტის სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენების შესახებ
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანისას მნიშვნელოვანია რომ არსებობდეს მისი დასაბუთების ვალდებულება.

6. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების საქმიანობა

- მაჟორიტარი პარლამენტის წევრები უნდა იყენებდნენ სპეციალურად მათი ბიუროებისთვის შექმნილ ვებ-გვერდებს, რომლებიც მიზნულია პარლამენტის ვებ-გვერდზე;
- პარლამენტის მაჟორიტარი წევრების ვებ-გვერდებზე რეგულარულად განთავსდეს ინფორმაცია მათ მიერ განხილული განცხადებების და ჩატარებული საჯარო შეხვედრების შესახებ.

დანართი 1. სიტყვით გამოსვლის რაოდენობა

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	სიტყვით გამოსვლის რაოდენობა
ეკა ბესელია	უმრავლესობა	264
რომან გოცირიძე	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	133
სერგო რატიანი	უმცირესობა	121
ზურაბ ჭიაბერაშვილი	უმცირესობა	101
სერგი კაპანაძე	უმცირესობა	100
ირაკლი აბესაძე	უმცირესობა	97
რევაზ არველაძე	უმრავლესობა	91
ხათუნა გოგორიშვილი	უმცირესობა	91
გიორგი კახიანი	უმრავლესობა	86
ოთარ კახიძე	უმცირესობა	85
გუგული მალრაძე	უმრავლესობა	83
ზაქარია ქუცნაშვილი	უმრავლესობა	77
მარიამ ჯაში	უმრავლესობა	69
ირაკლი კობახიძე	უმრავლესობა	64
თინათინ ბოკუჩავა	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	56
გიორგი წერეთელი	უმცირესობა	54

ირაკლი კოვზანაძე	უმრავლესობა	53
მამუკა მდინარაძე	უმრავლესობა	51
აკაკი ზოიძე	უმრავლესობა	50
ალექსანდრე ქანთარია	უმრავლესობა	48
აკაკი ბობოხიძე	უმცირესობა	46
დავით მათიკაშვილი	უმრავლესობა	46
ადა მარმანია	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	45
გიორგი ბოკერია	უმცირესობა	44
გიორგი გაჩეჩილაძე	უმრავლესობა	44
გრიგოლ ლილუაშვილი	უმრავლესობა	44
ლელა ქებურია	უმცირესობა	41
რომან კაკულია	უმრავლესობა	39
არჩილ თალაკვაძე	უმრავლესობა	38
სალომე ზურაბიშვილი	დამოუკიდებელი წევრი	36
ლევან გოგიჩაიშვილი	უმრავლესობა	35
ლევან კობერიძე	უმრავლესობა	35
სალომე სამადაშვილი	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	35
ირმა ნადირაშვილი	უმცირესობა	34

გიორგი კანდელაკი	უმცირესობა	33
ბექა ნაცვლიშვილი	უმრავლესობა	32
ანრი ოხანაშვილი	უმრავლესობა	32
გიორგი ვოლსკი	უმრავლესობა	31
გედევან ფოფხაძე	უმრავლესობა	30
ლაშა დამენია	უმცირესობა	29
ოთარ დანელია	უმრავლესობა	29
ემზარ კვიციანი	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	29
ირაკლი სესიაშვილი	უმრავლესობა	29
სოფიო კილაძე	უმრავლესობა	27
ელენე ხოშტარია	უმცირესობა	27
გიორგი ლომია	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	25
მამუკა ჩიქოვანი	უმცირესობა	25
გურამ მაჭარაშვილი	უმრავლესობა	24
გიორგი ტულუში	უმცირესობა	23
გიორგი ხატიძე	უმრავლესობა	21
თამარ ხულორდავა	უმრავლესობა	21
ირმა ინაშვილი	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	20

ენძელა მაჭავარიანი	უმრავლესობა	19
რატი იონათამიშვილი	უმრავლესობა	18
დიმიტრი ცქიტიშვილი	უმრავლესობა	18
ივლიანე წულაია	უმრავლესობა	18
თამარ ჩუგოშვილი	უმრავლესობა	17
ზაზა ხუციშვილი	უმრავლესობა	17
პაატა კვიფინაძე	უმრავლესობა	16
სიმონ ნოზაძე	უმრავლესობა	16
მირიან ნიკლაური	უმრავლესობა	16
ზაზა გაბუნია	უმრავლესობა	15
კახაბერ კუჭავა	უმრავლესობა	15
გია ჟორჟოლიანი	უმრავლესობა	15
ნატო ჩხეიძე	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	15
ნიკანორი მელია	ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“	14
კობა ნარჩემაშვილი	უმრავლესობა	14
ვანო ზარდიაშვილი	უმრავლესობა	13
კობა ლურსმანაშვილი	უმრავლესობა	13
მერაბი ქვარაია	უმრავლესობა	13

თენგიზ გუნავა	უმცირესობა	12
სოფიო ქაცარავა	უმრავლესობა	11
ირაკლი შიოლაშვილი	უმრავლესობა	11
ირაკლი (დაჩი) ბერაია	უმრავლესობა	10
ნინო გოგუაძე	უმრავლესობა	10
სულხან მახათაძე	უმრავლესობა	10
დავით ჭიჭინაძე	უმრავლესობა	10
ზვიად კვაჭანტირაძე	უმრავლესობა	9
გენადი მარგველაშვილი	უმრავლესობა	9
ირაკლი მებურნიშვილი	უმრავლესობა	9
გიორგი ღვინიაშვილი	უმცირესობა	9
შოთა ხაბარელი	უმრავლესობა	9
დავით ბაქრაძე	უმცირესობა	8
დავით სონღულაშვილი	უმრავლესობა	8
